

1961

პიონერი 1961
თბილისი





ეროვნული
მუზეუმი
ახლანან
აღმორჩენილი
პორტრეტი

შოთა რუსთველი



საქართველო, საყვარელო!

საქართველო, საყვარელო,
 გაპტრა შენი მწუხარება
 და ბუნების ჰიმნს გიმღერის
 მთების წყალთა მქუხარება.

აყვავებულ შენს კალთებზე
 ბავშვთა ჟივილ-ნივილია,
 ცა ქათქათებს,—ქვეყნის სარკე,
 ცაზე შენი ღიმილია!

გაიხარე, გაიზარდე,
 გაიშალე მხარმკლავები
 და შვილები გაგიმრავლდეს
 უხვად, როგორც ვარსკვლავები!

რიჭრაჭივით მზეს ამოჰყვავა
 ძლევის დროშა ოქროსფერი,
 გაგიტენდა თებერვალი,—
 საქართველოს ოქტომბერი!

ხარობ შრომით და გარემოც
 გამშვენებს და გადიადებს,
 მზის ღიმილით ეგებები
 კომუნის განთიადებს!

დაივიწყე, რაც ოდესმე
 მტარვალებმა შენ გაწვალეს,
 ჩვენი დედა-სამშობლო ხარ,
 გაიხარე, გენაცვალე!

ა. პოპოვი



საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნოკრ
 პიონერთა ორგანიზაციის რედაქციის სახელს უკავსო ქოველთვიური საბავშვო უხრანლი

რედაქტორი რევაზ მარგანი
 სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი),
 მარიჯანი, რ. ქორქია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი
 (სამხატვრო რედაქტორი).

გამოცემის წელი
 XXXV

პიონერი 2
 1961



ქართული პოეზიის გენიოსის შოთა რუსთველის სურათისა და საიდუმლოებით მოცული მისი ბიოგრაფიის შესასწავლად გასული წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ იერუსალიმში მიაგვლინა სამეცნიერო ექსპედიცია ქართველი აკადემიკოსების: აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით.

ყოველი ქართველი და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით ისმენდა ექსპედიციის ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ბუნებრივია, რომ ჩვენს ნოჩრ თაობაში, ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობაში ცხოველ ინტერესს აღძრავს ყოველი ახალი სიტყვა დაკავშირებული გენიალურ პოეტთან.

„პიონერის კლუბი“ თავის შორიგ სხდომაზე იწვევს ექსპედიციის ხელმძღვანელს, პოეტ-აკადემიკოსს ირაკლი აბაშიძეს.

მოგვითხრობს ირაკლი აბაშიძე.

რუსთველის ნაკვალავზე

ფიქრით ჩვენ უფრო ადრე ვიყავით იერუსალიმში. მოუთმენლად ველოდით გაფრენის დღეს და ეს ნანატრი დღეც დადგა. ვერცხლისფერმა საჰაერო ხომალდმა—„ტუ-104“-მა დილით დატოვა მოსკოვი და ორ საათნახევრის ფრენის შემდეგ ავსტრიის დედაქალაქ ვენის აეროპორტზე დაეშვა.

დიდხანს არ გვიცდია, ადგილზე დაგვხვდა ბელგიის სამგზავრო კომფორტული თვითმფრინავი „საბენა“. ჩავსხედით. ჩვენთან ერთად მგზავრობდნენ საბერძნეთსა და პალესტინაში მიმავალი უცხოელები. ისმოდა ინგლისური, გერმანული, იტალიური, ფრანგული, ბერძნული და ჩვენი ტბილი, მშობლიური ქართული.

ჩქარა გადავიფრინეთ ადრიატიკის ზღვა. შორი სიმალიდან ჩანდა იტალია. მალე კი საბერძნეთიც. თითქმის შეუმჩნევლად გაირბინეს საათებმა. ხედები ხედებს ცვლიდნენ. დღის მეორე ნახევარში უკვე ელა-

დის ძველი დედაქალაქის ათენის მიწაზე დავეშვით. ქალაქის დათვალიერების დრო არ იყო. თვითმფრინავი ახალი მგზავრებით შეივსო, ნელა მოსწყდა მიწას და კურსი აიღო პალესტინისაკენ.

ელვის სისწრაფით გაირბინეს თვალწინ კრიტოსმა, როდოსის კუნძულებმა. ლავგარდიდან ვუმზერდით ხმელთაშუა ზღვას, საღამოს ბინდი რომ ებარებოდა. მალე ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქ თელ-ავივში ჩავფრინდით.

მაშინვე მანქანაში ჩავსხედით და შუალამისას უკვე იერუსალიმში ვიყავით. ჩვენს საელჩოს ყოველგვარი წინასწარი ღონისძიება მიეღო, რომ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაგზავნილ ჩვენს ექსპედიციას ნაყოფიერად ემუშავნა, შეესწავლა უკვდავი შოთა რუსთველის სიცოცხლის ბოლო წლებთან დაკავშირებული ზოგიერთი საჭირობოროტო საკითხი, რისი გამორკვევა, შესწავლა და დადგენაც კი შეიძლებოდა მოგზაურობის ამ მოკლე დროში.

დილით იერუსალიმში აჭერდა თაკარა მზე, უფრო ცხელოდა, ვიდრე აგვისტოში ჩვენთან. სიცხეს ვინ დაგიღვედათ, ოღონდ მიზნისათვის მიგვეღწია. თითოეული ჩვენგანი ღრმად გამსჭვალული იყო იმ რწმენით, რომ მიგვეგნო დიდი შოთას საფლავი თუ არა, სურათი მაინც, გასახარელი ამბავი ჩამოგვეტანა რუსთველის მშობელი ქართველი ხალხისთვის, მთელი ქვეყნისთვის. კარგად ვიცოდით, ამ პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტის, მსაინტერესო, მეტად დაძაბული ძებნის, ამ საშვილიშვილო საქმის შესრულების დროს ჩვენთან იდგა მთელი საბჭოთა საქართველო.

ორმოცამდე ქართული მონასტერი და ეკლესია ყოფილა თურმე გაშენებული იერუსალიმის „წმიდა მიწაზე“. მათ შორის ყველაზე უდიდესია ჯვარის მონასტერი, რომელიც სამასამდე ოთახისა და სათავსისგან შედგება. ეს შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა ქართველთა რე-

ლიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრს წარმოადგენდა პალესტინაში საუკუნეთა მანძილზე.

გაივლით ზეთისხილის გამეჩხრებულ ბაღებს, რომლებიც ირგვლივ აკრავს ჯვარის მონასტრის მაღალ გალავანს, და მონასტერში შესასვლელ ერთადერთ დაბალ პატარა კარს მიადგებით. ციხე-სიმაგრე გეგონებათ. ფანჯრები ვიწროა, სათოფურების მსგავსი. მხოლოდ გუმბათი და სამრეკლოა ზემოაწვდილი.

ამ სახით, როგორც ახლა ჩვენ ჯვარის მონასტერი ვნახეთ, აშენდა



სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ იერუსალიმში მივლინებული ექსპედიციის წევრები, აკადემიკოსები: გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე და ირაკლი აბაშიძე.


XI საუკუნის პირველ ნახევარში. იგი აგებულია ქართველი სასულიერო პირის პროხორე ბერის მიერ. მის მშენებლობაში მონაწილეობდნენ იმდროინდელი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეები.

XII საუკუნეში დიდი იყო ჯვარის მონასტრის გავლენა მთელ აღმოსავლეთ აზიაში, როგორც საქართველოს რელიგიური და კულტურული ცენტრისა. ჩვენს ამოცანას შეადგენდა გამოგვეჩვენა გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ურთიერთობა ამ უდიდეს მონასტერთან, რომელთანაც დაკავშირებულია მისი სიცოცხლის ბოლო წლები.

ლეგენდა იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველი სიბერის ჟამს პალესტინაში წავიდა და იერუსალიმის მონასტერში თავისი უკანასკნელი წლები გაატარა, როგორც ჩანს, საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ცოცხლობდა.

ჩვენი მეცნიერების ცნობით, ამ ლეგენდას საკმაოდ იცნობს ქართული ფოლკლორიც. გამოირკვა ისიც,

ჯვარის მონასტრის სამრეკლო.



ზემოთ: ჯვარის მონასტრის მსახურმა მიუთითა შავი საღებავით დაფარული ადგილი სვეტზე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეების ფრესკებს ქვემოთ, სადაც ვარაუდით უნდა ყოფილიყო რუსთველის პორტრეტი. ქვემოთ: საღებავით დაფარული ადგილის გაწმენდის შემდეგ მართლაც გამოჩნდა რუსთველის პორტრეტი.

რომ მსგავსი ლეგენდა თვით იერუსალიმშიც არსებულა.

ჩვენი ისტორიული წყაროებიც, თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც გვაწვდიან ცნობებს იერუსალიმის ჯვარის მონასტერში შოთას (მეჭურჭლეთუხუცესი) შესახებ.

იერუსალიმში ჩვენი ჩასვლის დროს ჯვარის მონასტრის კედლების შეკეთება მიმდინარეობდა. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს კიდევ ერთხელ ფარავდა ისტორიული მნიშვნელობის ზოგიერთ ძეგლს, რომელთა ამოხსნა და საბოლოოდ დაზუსტება დროდადრო უფრო გართულდება. დიდ საგონებელში ჩავვარდით. თითქმის ყველა ნაწერი მონასტერში გადაფხეკილი და მუქლურჯ, უფრო მოშავო, ფერის საღებავით იყო დაფარული. ქართული წარწერების ადგილას ზოგან სრულიად არაფერი ჩანს, ზოგან ბერძნული წარწერებია, კედლებზე არ ჩანან მირიან მეფის, ვახტანგ გორგასალის, ზაგრატ მეოთხის, ლეონ დადიანის და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ფრესკები. ველურთა ბოროტ ხელს გადაურჩა მხოლოდ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეების ფრესკები, რომლებიც ალბათ ქართველებად ვერ შეიცნენ მონასტ-

რის ახალმა პატრონებმა. მათ თავზე ბერძნული წარწერებიც. ქვემოთ კი, ღრმა დაკვირვების შემდეგ, ჩვენმა მეცნიერებმა აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა ოდნავ გაარჩიეს ქართული ასოებით ამოკვეთილი სიტყვები „ექვთიმე ქართველი“, „გიორგი ქართველი“.

ქართული წარწერებიდან მხოლოდ ორიოდ გადარჩენილი, ისიც უფრო გვიანი პერიოდისა. საბედნიეროდ, მონასტრის ცენტრში გადარჩენილა ლითონის დისკო, რომელზეც წავიკითხეთ ქართული წარწერა: „დექით მტკიცედ, შეურყევლად“. თითქოს ისტორიის მრისხანე ქარიშხლებში გაჰკივის ეს წარწერა, რომ შედგარდ, მტკიცედ, მხნედ, უდრეკად იდგე, ქართველო, ყველა გასაჭირში.

დიდი მუშაობა დაგვკირდა, რომ სათანადო აპარატების საშუალებით ამოგვეკითხა ველურის ხელით გაპარტახებული ქართული წარწერები, ჯვარის მონასტერში კი, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის ცნობილი ქართველი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი აღწერს თავის წიგნში „ჯვარის მონასტრის ისტორია“, არა ერთი ათეული ქართული წარწერა და ისტორიული მოღვაწის პორტრეტი ყოფილა კედლებზე.

ცნობილია, რომ ჯვარის მონასტერი იერუსალიმის მახლობლად მდებარეობდა. ახლა ეს ქალაქი ისე გაიზარდა, რომ მონასტერიც შეიერთა თავისი ზეთისხილის ბაღებიანად. აქ დღესაც ადასტურებენ იმ აზრს, რომ შოთა რუსთველი სიბერის ეპოს ჯვარის მონასტერში ცხოვრობდა.

როგორც მე-18 საუკუნის დასაწყისის ქართველი მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი, ხოლო შემდეგ უფრო გვიან, ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ცაგარელი გადმოგვცემენ, ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე დახატული ყოფილა შოთა რუსთველის პორტრეტი.

მე-19 საუკუნის ბოლოს ჯვარის მონასტერში შოთა რუსთველის პორტრეტი გაქრა. ასე, მაგალითად, დეკანოზი პეტრე კენჭოშვილი, რო-

მელმაც პალესტინაში - იმოგზაურა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, წერს: „გულით ვეძებე შოთა რუსთველის სურათი და ძლივს შევნიშნე მარჯვენა მხარეს სვეტზედა, რადგანაც წაბლალულია ზედ წარწერა მას ზედა“. ხოლო 1901 წელს ნიკო მარმა შოთა რუსთველის სურათი უკვე ველარ შეამჩნია.

ჩვენი ექსპედიციის მიზანი იყო შეგვესწავლა ჯვარის მონასტრის ქართული მასალები, რომელნიც რაიმე სახით მიგვითითებენ შოთა რუსთველის ნაკვალევზე.

სამწუხაროდ ჯვარის მონასტრის ყველა ქართული ძეგლი ხელნაწერი, აგრეთვე ძეგლი ბერძნული და არაბული ხელნაწერები, რომელთაც ოდესღაც ქართველ მოღვაწეთა ხელში გაუვლია, გადატანილი აღმოჩნდა სხვა ქვეყანაში.

მიუხედავად ბევრი ცდისა, ჩვენ დღემანდელ პირობებში ვერ მივიღეთ უფლება გვეწარმოებინა ზოგიერთი არქეოლოგიური გათხრა და მოგვეხდინა ქართული ფრესკებისა და წარწერების გაწმენდა. ჩვენი ერთადერთი საზრუნავი შეიქნა მიგვეგნო, აღმოგვეჩინა და აღგვედგინა შოთა რუსთველის პორტრეტი ჯვარის მონასტრის მარჯვენა სვეტზე, რასაც ჩვენ მივალწიეთ კიდევ ჩვენი

მეცნიერების გულმოდგინე ცდისა და შრომის შემდეგ.

საიდუმლოდ გავწმინდეთ ის ადგილი, სადაც რუსთველის პორტრეტი გვეგულებოდა. რამდენიმე დღის დაძაბული შრომით მოვახერხეთ სათანადო აპარატებით ფრთხილად გადაგვეწმინდა მუქი-ლურჯი-შავი ფერის სქელი ფენა და მის ქვეშ პირველად დაგვეჩინა ზეაღმართული ხელები. იმედი მოგვეცა, გავმხნევედით და გაათქვიცებული ენერგიით განვაგრძეთ ძიება. მალე აღმოჩნდა წითელი ფერის ტანსაცმელი, თეთრი წვერი, სახე. ჩვენს წინ წარმოდგა ღრმად მოხუცებული, სანდომიანი გამომეტყველებით, სევდიანი ბრძნული თვალებით მზირალი შოთა. გასაგებია ის უსაზღვრო სიხარული და ალტაცება, რაც მაშინ განვიცადეთ სამივემ.

პორტრეტს აწერია „რუსთველი“.

არ დაგვიყოვნებია, მაშინვე მივიწვიეთ მონასტერში ცნობილი იერუსალიმელი ოსტატი ფოტოგრაფი, რომელმაც საუცხოოდ გადაიღო შოთას ჯვარისმონასტრისეული პორტრეტი, როგორც ჩვეულებრივი, ისე ფერადიც. ფერადი დიაპოზიტივის გამოვლინება თვითონ იერუსალიმში არ მოხერხდა, რადგან ასეთ სამუ-

შაოს იქაური ფოტოგრაფები იერუსალიმში გზავნიან გამოსავლინებლად. ჩვენ ფერადი და ჩვეულებრივი პორტრეტის დიაპოზიტივები ვაწარმოებდით. შოთას ფერადი პორტრეტი უკვე დაიბეჭდა და კვლავაც უკეთ დაიბეჭდება.

დღეს ჩვენს ხელთ არის შოთა რუსთველის ჯვარისმონასტრისეული ნამდვილი პორტრეტი, რომელსაც ჩვენი მეცნიერები უდიდეს მონაპოვრად სთვლიან რუსთველოლოგიაში.

ჩვენი მეცნიერების წინაშე გაიშალა ახალი ჰორიზონტი საიდუმლოების ნისლით მოცული შოთა რუსთველის ბიოგრაფიის შესწავლისათვის. თავისთავად ჯვარის მონასტრისეული შოთას პორტრეტი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

შოთას პორტრეტის გარდა ჩვენმა მეცნიერებმა იერუსალიმიდან წამოიღეს მრავალი ძვირფასი მასალა, რომლის დამუშავებაც ბევრს რასმე ახალს გავვაგებინებს პალესტინის მუნჯ, მაგრამ მრავლისმეტყველ ქართულ სიძველეთა შესახებ.

ჯვარის მონასტრის საერთო ხედი





«ფიტელ არმიასთან ერთად თავისუფლების დრო-
შას შემოვიდა საქართველოში!»—ნახ. კ. მახარაძისა



ეს ასე იყო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სერგო ქავთარაძე

„პიონერის კლუბში“ მოვიწვიეთ, აგრეთვე, ცნობილი რევოლუციონერი, ძველი კომუნისტი, პარტიის წევრი 1903 წლიდან, სერგო ქავთარაძე, რომელსაც ვთხოვეთ ეამბნა, თუ როგორ იბრძოდნენ ქართველი ბოლშევიკები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.
აი, რა გვიამბო მან:

ჩვენი სამშობლო — სოციალისტური საქართველო ორმოცი წლის გახდა. ხედავთ, იგი ჯერ სულ ახალგაზრდაა და ასე ძლიერია. ჩვენ იგი გვიყვარს, გვიყვარს დიდი სიყვარულით და ერთად შევხარით მის კეთილდღეობას — თქვენ და მე... თქვენ — მისი მომავალი, მე — მისი წარსული. თქვენ იცით, ჩემო პატარა მეგობრებო, ახლა საქართველო მდიდარი ქვეყანაა განვითარებული მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით... მას აქვს უნივერსიტეტი, ინსტიტუტები, სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, დასასვენებელი სახლები, ახლებურად გაშენებული ქალაქები და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ... მაგრამ ისიც იცით, ალბათ, რომ ამ ორმოცი წლის წინათ, საქართველოს თითქმის არაფერი არ ჰქონდა... იგი იყო ძალიან ღარიბი, დაბეჩავებული, იყო მეფის რუსეთის კოლონია — უფლებაყრილი და ენაწართმეული. დაფიქრდით, შეადარეთ — რაც იყო და რაც არის. რა დიდი სხვაობაა! და ყველაფერი ეს, რაც ჩვენს დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს, რითაც ვამაყობთ, იცოდეთ, თავისთავად, მზამზარეულად არ მოსულა. არც ჯადოსნური ხალიჩა გაშლილა და არც ზღაპრულ კვერთხს მოუტანია ეს განძი. იგი თვითონ მშრომელმა ხალხმა მოიტანა და შექმნა — დიდი ბრძოლით, დიდი მსხვერპლით, დიდი გმირობითა და თავგანწირვით. მე მინდა გელაპარაკოთ სწორედ იმ დიდ ბრძოლებზე, იმ ადამიანებზე, ვინაც საკუთარი სიცოცხლის ფასად შექმნა საქართველოს ახალი ცხოვრება.

ბოლშევიკები, ხალხის ნამდვილი შვილები, სათავეში ჩაუდგნენ მშრომელებს და ბრძოლა გამოუცხადეს ომის გამჩალებს. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუშათა კლასს, ჯარისკაცებს, გლეხობას ასწავლიდა თავი დაენებებინათ კაპიტალისტებისათვის სასარგებლო ომისათვის და იარაღი მიემართათ თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ, თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ გზას გაჰყვენ ქართველი ბოლშევიკებიც.

ჩვენს ბრძოლას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა თავისთავად და მოვლენათა განვითარება ისე წავიდა, რომ ეს ბრძოლა უნდა ყოფილიყო უკანასკნელი და გადამწყვეტი.

* * *

ციხე, დევნა, იატაკქვეშ ხანგრძლივად ყოფნა — არ გვაშინებდა. ჩვენ გვინათებდა ერთი დიდი მიზანი და ამ სინათლეს მიყვებოდით თავგანწირულად.

* * *

დადგა 1917 წელი. მოხდა თებერვლის რევოლუცია. ძალაუფლება ხელთ იგდეს მენშევიკებმა. ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთ იყო. საქართველოს მენშევიკები დაეპატრონენ. უცხოელებით სავსე იყო ქვეყანა. ძვირფასი, რისი გატანაც შეეძლოთ, გაჰქონდათ. ჩვენ განვაგრძობდით ბრძოლას. მენშევიკების მიერ მოწვეულ მუშათა საბჭოს სხდომაზე გადაჭრით მოვითხოვეთ ქანდარმერიის დაუყოვნებლივი დაპატიმრება და მისი არქივის ხელში ჩაგდება. მაგრამ მოლაღატე მენშევიკებმა საშუალება მისცეს

* * *
მახსოვს, იყო პირველი მსოფლიო ომის მძიმე წლები. ქვეყანა გაჩანაგდა. უცხო ინტერესებისათვის ბრძოლაში, უცხო მიწაზე სიცოცხლეს ეთხოვებოდა ათასობით ქართველი კაცი. შინ დარჩენილთ სიღატაკე და შიმშილი ხდიდა სულს...
მშრომელ ადამიანს შეძლდა საკუთარი სიცოცხლე. უკვე არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო. და აი,



თბილისის გუბერნიის ქანდარმერიის უფროსს, პოლკოვნიკ პასტრულინს, დაეწვა მთელი არქივი და ოჯახითურთ გაქცეულიყო საქართველოდან. შემდეგ, სამოქალაქო ომის წლებში, ეს პასტრულინი თან ახლდა დენიკინს ჩრდილოეთ კავკასიაში, უმოწყალოდ ხოცავდა უდანაშაულო ადამიანებს—სისხლით გაუმაძღარი ჯალათი გამოდგა და მისი საქართველოდან ასე უგენებლად წასვლა მენშევიკებს დანაშაულად უნდა ჩათვალათ.

დღითიდღე უფრო მძაფრი ხდებოდა მენშევიკებსა და ჩვენს შორის წინააღმდეგობანი. ერთხელ, პეტერბურგიდან რუსმა ამხანაგებმა ვაგონით გამოგვიგზავნეს პოლიტიკური ლიტერატურა და გაზეთი «პრავდა». თბილისში ჩამოდგომისთანავე ქართველმა მენშევიკებმა ვაგონს ყადაღა დაადეს. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ ასეთ ყაჩაღურ მოქმედებაზე... და ქართველი ბოლშევიკების კანონიერ მოთხოვნაზე მენშევიკური მთავრობის მეთაურმა ჟორდანიამ ასე მომიგო:—«რევოლუცია წალეკავს იმას, ვინც მას ეწინააღმდეგებაო». «ვნახოთ, ვისაც წალეკავს!»—იყო ჩემი პასუხი.

მდგომარეობა აშკარად მწვავედებოდა.

გამოვიდა ჩვენი პარტიის ორგანო—გაზეთი «კავკაზსკი რაბოჩი» რუსულ ენაზე, რომელსაც მე ვრედაქტორობდი და «ბრძოლა» ქართულ ენაზე, რომლის რედაქტორი იყო ფილიპე მახარაძე.

* * *

1917 წლის ოქტომბერი. რუსეთში ძალაუფლება ხელში აიღეს მუშებმა და გლეხებმა, განდევნილ იქნა მენშევიკური მთავრობა. საქართველო დარჩა განზე, ქართველი მენშევიკები ჯერჯერობით გამაგრდნენ. მათ სხვა პარტიებთან ერთად შექმნეს გაერთიანებული მთავრობა—ამიერკავკასიის კომისარიატი. მისი მიზანი იყო ამიერკავკასიის რუსეთისაგან მოწყვეტა. ამ ახალმა უღლეურმა მთავრობამ გააძლიერა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა და ჩვენი დევნა.

მათ საპირისპიროდ ამიერკავკასიის ბოლშევიკები გავერთიანდით და სამკვდრო-სასიცოცხლო იერიშზე გადავედით.

* * *

1918—1919 წლები. საქართველოში დაიწყო მუშათა რევოლუციური გამოსვლები, გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები. მტერი ცოფს ყრიდა, ციხეები გაიჭედა ჩვენი ამხანაგებით. თბილისიდან კავკავში გადავედით. აქედან უფრო ადვილი იყო მოსკოვთან დაკავშირება, მაგრამ ამ

ხანებში ჩრდილოეთ კავკასიას მოადგა დენიკინი—საბჭოთა რუსეთის მოსისხლე მტერი. მან ქალაქ ~~ვაკავსკულა~~ შემოარტყა.

ცხრა დღის სასტიკი ბრძოლების შემდეგ იძულებული გავხდით ქალაქი დაგვეტოვეინა. დარიალის ხეობით გამოვეყვით საქართველოსაკენ მომავალ გზას. ფეხდაფეხ მოგვევებოდა მტერი. ჩვენი ცარიელი ზარბაზნები თუ აშინებდა მას. მოვედიოდით. უკან იყო დენიკინის მიერ აოხრებული კავკავი, წინ — მენშევიკური საქართველო. მაგრამ სხვა გზა არ გვექონდა, ისევ საქართველოს მოვადექით უიარაღონი, დაავადებული ჯარისკაცებით, გახიზნული ქალებითა და ბავშვებით. ყაზბეგში გზა გადაკეტილი დაგვხვდა. დიდხანს არ გვიღებდა გარნიზონის უფროსი... ბოლოს, დიდი მოლაპარაკების შემდეგ ჩვენი ჯარი შემოუშვეს საქართველოს საზღვრებში. ჩვენ, მეთაურები, დატუსაღებულნი ჩამოგვიყვანეს თბილისში და მეტეხის ციხეში მოგვათავსეს.

* * *

1919 წლის მაისში დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის. საბჭოთა მთავრობამ საქართველოში ელჩად დანიშნა სერგეი მირონის ძე კიროვი, ხოლო მის მრჩეველად—მე. ქართველი ბოლშევიკები განაგრძობდნენ მედგარ ბრძოლას. საბჭოთა ჯარი ანადგურებდა დენიკინელებსა და კონტრევოლუციის სხვა ურდოებს, თანდათან უახლოვდებოდა საქართველოს საზღვრებს და ზურგს გვიმაგრებდა. მენშევიკების პოზიციები დაუძლურდა, მათი ჯარი თანდათან დაიშალა, ჯარისკაცები შინ გარბოდნენ. ხალხი აშკარად გამოდიოდა მათ წინააღმდეგ. მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ქუთაისში გადასულიყო... ჩვენც, დაპატიმრებული ბოლშევიკები, თან წაგვიყვანეს და ციხეში მოგვათავსეს. მერე მენშევიკებს სულ გამოეცალათ ფეხქვეშ ნიადაგი და ბათუმისაკენ დაიხიეს. ჩვენც თან წაგვიყვანეს, ახლა ბათუმის ციხეში დაგვაამწყვდიეს. ამ დროს აჭარაში თურქეთის ჯარი შემოიჭრა და ბათუმში დაიკავა. შეშინებული მენშევიკური მთავრობა საზღვარგარეთ გაიქცა. ჩვენმა ამხანაგებმა ციხეები გატეხეს და გაგვათავისუფლეს. ხალხი ერთად დაირაზმა შემოსული მტრის წინააღმდეგ და სასტიკი ბრძოლების შემდეგ თურქეთის ჯარი უკუვაქციეთ...

და ასე დიდი ბრძოლით ქართველმა ხალხმა განდევნა შინაური და გარეშე მტრები.

საქართველო გათავისუფლდა. გაიმარჯვა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ.

ეს იყო 1921 წლის 25 თებერვალს.

გიორგი კაჭახიძე

რაც მახსოვს, ამ მთებს შევეყურებ,
ვუმზერ და თვალი ბრწყინდება,
ათას წელიწადს რომ გავძლო,
ყურება არ მომწყინდება.

მაცოცხლებს მათი ნიავი,
სოფლები მიმოფანტული,
გზებზე გლეხკაცის შეხვედრა
და გამარჯობა ქართული.

სამშობლოს მიწა-წყალია,
დავდივარ წელგამართული,

ხალხის ლხინსა და შრომაში
გულის სინათლედ ჩართული.

კავკასიონთან რომ ვმდერი,
ოცნებით ვხედავ თრიალეთს...
ამ გაცინებულ მთა-ბარში
ქართველი შრომობს, ტრიალებს.

ქალაქი ბევრი აშენა,
ბევრი აშენა სოფელი,
არც თავი შეურცხვენია,
არც ვალმობილი მშობელი.

შვილებსაც თავის გვარზე ზრდის—
მხნე, კაცთმოყვარე ქალ-ვაჟებს...
ეს თქვენ ხართ, ქვეყნის მერცხლებო,
მისი მარჯვენა გაკაჟებთ.

გიყვარდით მისი კერია,
მიწა დოვლათით განთქმული,
ანბანი, მრავალქამიერ,
ძმობა და წესი ქართული.

მათ სიყვარულში, ზრუნვაში
გვერდს ვერ აგივლით დიდება, —
ვერც ქარიშხალი წაგაქცევთ,
არც ჟანგი მოგეკიდებათ.

ისევ ჭაღვა თებერვალი

ჯანსუღ ნიჭაბაძე



რაც იმციმებებს ქედებს ლალი,
ზეიმი არნახული,
ისევ დადგა თებერვალი,—
ჩვენი ქვეყნის გაზაფხული.

სიხარულით ტირის კვირტი,
ავსებია ცრემლით თვალი,
ამოდუღდა მარგალიტი,
ნაგუბარში ჩადგა წყალი.

მთიდან მოხტის ნაკადული
ციხკარივით თვალანკარა,
სიცოცხლე და სიხარული
დაფრიალებს კარდაკარა.

დასციმციმებს ქედებს ლალი,
ზეიმი არნახული,
ისევ დადგა თებერვალი,—
ჩვენი ქვეყნის გაზაფხული.



შენ როცა გძინავს, მას ჰღვიძავს,
შენს ტკბილ ბავშვობას იცავს,
დიდება ჩვენს გმირ არმიელს—
მამას, ძმასა და ბიძას!

მამულის რკინის კედელი,
ჩვენი კერების მცველი,
დიდი მშვიდობის მჭედელი
არის არმია ჩვენი.

მან უსასტიკეს ბრძოლებში
მტერს თვალი დაუღამა,
ადიდა დიდი მამული
ქმამ, ბიძამა და მამამ.

საბჭოთა არმიელი

თაიფურაჰ ჯანგულაშვილი

მან სხვა ქვეყნებიც დაიხსნა,
დუმანს უმტვრია კარი,
ომის ზარს ენა წაჰკლიჯა,
რომ რეკდეს სკოლის ზარი.

შენ როცა გძინავს, მას ჰღვიძავს,
შენს ტკბილ ბავშვობას იცავს,
მუდამ ერთგულად დარაჯობს
ქვეყნის მშობლიურ მიწას.

მამულის რკინის კედელი,
ჩვენი სიცოცხლის მცველი,
გმირობა დაუშრეტელი
არის არმია ჩვენი.

სამშობლოს ტრფობა უკვდავი
წინ მიუძღვება ფიცად,
დიდება ჩვენს გმირ არმიელს—
მამას, ძმასა და ბიძას!



მ ო ტ ს რ ო ბ ა

სიმინდის უკანასკნელი მარცვლები ჩაიკაკლა კრიჭაში. დო-
ლაბმა ერთი-ორჯერ მოუსვა ჩვეული სიმარჯვით, ბლუჯა-ბლუჯა
გადმოაფრქვია ქათქათა ფქვილი, მერე აყვირდა. წისქვილის თეთ-
რად შეფიქვლი კედლები შეთრთოლდნენ. ბორბავდა, დრტვინავ-
და მშიერი ქვა. ახლა ფქვილის ნაცვლად ნაბერწყლებსლა ისროდა.
დახეხილი ქვისა და დამწვარი ჭირნახულის მძაფრი სუნი ჯაღა-
უცებ, ცამეტ-თათხმეტი წლის ბიჭმა შემოიბრინა, განწირული ხმით
მორთო ყვირილი:

— ბაბუა შელიტონ, საფქვავე ჩამოვიდა!

მოხუც მეწისქვილს, ბუხრის პირას ჩასძინებოდა.

გველნაკბენივით წამოხტა, თავდაუზოგავად ეცა იქვე, მხარეთ-
ძოზე წამოწოლილ ვეება გუდას.

— მომეხმარე ბაბუაშვილობას!

ბიჭი მივარდა. ექაჩებოდნენ, ოფლად იღვრებოდნენ, ჯიუტი
გულა ადგილიდან არ იძვროდა. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდ-
ბოდა ჭიდილი, რომ კარი ბრგე ვაჟკაცს არ შემოეღო.

— აი, ავაშენოს ღმერთმა! გვიშველი, ეფრემა!—შეღაღადა გა-
ხარებულმა შელიტონმა. ახალმოხუცი ცოტა ხანს შეყოვნდა, ჩოხის
კალთები შეიკეცა. მერე ბუმბულივით აიტაცა გულა და თავი ხვი-
მირაში მოუქცია.

დოლაბს გულს მოეფონა, უცებ დამშვიდდა, კვლავ სასიამოვ-
ნო, ძილისმომგვრელი გრუტუნი იწყო.

— აბა, ჭრაქი ანათეთ და კარი ჩაკეტეთ!—მიხედ-მოიხედა
ეფრემმა.

ჭრაქის ლიცლიცა აღმა ერთი კუთხე ძლივს გაანათა. სტუმარს
ნაბადი უკვე მოეხადა, ახლა სამუფხა, პატარა სკამი მოიწია და
ჯვორკოს მიუჯდა.

— შელიტონ, მოიტა ქალადი და ხაწერ-კალამი!

უსწორმასწორო ასოებით იწერებოდა საიდუმლო ბარათები:
„შაბათს, ნაშუადღევს, ღვინის დასალევად ვაზისუბანში ჩამო-
დით!“

— ეს კლდეებში მიიტანე, ესენი კიდე—ქედასა და ნაგომარ-
ში. სოფლის მისასვლელთან კაცი დაგხვდება, გკითხავს: „მანარო-

ბელო, რა მოგაქვს?“—უბასუხებ: „ნაბერწყალი“, მერე გადასცემ.
აბა, შენ იცი, გამთენიასვე გაუდექი გზას. მელიტონ, დროულად
გააღვიძე.

* * *

შორს არ არის სოფელი კლდეებით, მაგრამ, თუ მოკლებით
ივლი, ციცაბოებზე ჩახლართულ ბილიკს გადაივლი, მცირე ხევს
გადახვალ;—იქვეა. კლდეების თავზე ქედა და ნაგომარია შეფენი-
ლი. კარგად იცის მათი მდებარეობა შოშიტამ, ჯერ კიდევ წისქვი-
ლის პატრონის ბატონებს რომ მწყემსავდა, მაშინ შემოიარა იქა-
რობა.

შე! პატარა, უსუსური მწყემსი იყო იმ დროს, ახლა კი საიდუმ-
ლო ბარათები მიაქვს!

გამოჩნდა სოფელი. კვამლის ზოლები კლაკენით მიისწრაფოდა
მალლა, მალლა, მერე ცის დაუსაბამო სილურჯეში შეუშინებლად
ქრებოდა. ნავიანევი ყვილით იჭაჭებოდნენ მამლები, ზოგჯერ
მთელ ხეობაში განხიანდებოდა ვინმეს ძახილი.

ხევის პირას ვიღაც კაცი ტრიალებდა მოუსვენრად. „ეს იქნე-
ბა, ალბათ!“—გაიფიქრა შოშიტამ, ოღონდ, ყოველშემთხვევისათვის,
ისეთი იერი მიიღო, თითქმის არავის ეძებდა. გვერდით ჩაუარა,
მშვიდობის დილა უხურვა და სოფლისაკენ გზა განაგრძო.

— მანარობელო, რა მოგაქვს?—მოესმა დათქმული სიტყვები
ზურგსუკან.

— ნაბერწყალი!—მობრუნდა შოშიტა...

ერთი თვალის გადაკვრით ჩაიკითხა მოკლე ბარათი.

— მაშ, შაბათს, ნაშუადღევს?!—ჩაილაპარაკა, მხარზე ხელი
დაჭკრა და მერე სოფელზე შემოვლით ურჩია წასვლა მაცნეს, თვი-
თონ კი იქვე ბუჩქებში გაუჩინარდა.

* * *

მთელი დღე უგუნებოდ იყო მელიტონი. შოშიტამ უკან დაბ-
რუნება დაიფვიანა. ვინ იცის, რა შეემთხვა სახიფათო საქმეზე წა-
სულ ბავშვს. ქვეყანა არეულია, ძმა ძმას აღარ ინდობს, მამა შვილს.





ზემოთ ბოქაულს საკუთარი ძმა მოუკლავს, წითელ რაზმში რად ჩეწერაო! გადმელ მამასახლისს თავის ვაჟისათვის უჩივლია: დაიჭირეთ, მეფის დალატობსო. ყველგან მოყურიადე ზის, ქვებსაც თვალი და ყური ასხიათ!

ამ ფიქრებში ჩასთვლიმა კიდევ. თავს ლუკია წაადგა—თვალმარლი, ჩოფურა კაცი.—გამარჯობა!—ჩასძახა ყურში. შეერთა მონხუცი. არ ელოდა ამ დროს წისქვილის პატრონს. უგემურად გახცა პასუხი სალამზე და ფარული ბრაზით შესთავაზა სამეფნა სკამი. დაუპატრებელი სტუმარი ჩამოჯდა. ფენი ფენზე გადაიღო დიდკაცურად და მუსხაფი გააბა:

— რაღაცა, მელიტონა, ხალხი ირევა დედამკვდარი ფუტკარივით, რაშია საქმე, თუ იცი?

— მე რა ვიცი, ბატონო!—მოიკატუნა თავი მეწისქვილემ,— მთავრობის ხალხს თქვენ იცნობთ, ქვეყნის ამბები თქვენ უფრო გაგეგებათ.

— ვაი, ჩენი ცოდვა! რა დრო დადგა ეფრემიკა რომ მეფის გინებას გაბედავს... იმე, სად იყო ე ბიჭი? ძლივს არ მოლასლახებს?

დაქანცული, ფეხებდასისხლიანებული შოშიტა მართლა ძლივს ჩამოდიოდა წისქვილისაკენ დაქანებულ შუკაზე.

მელიტონმა უცებ ვერაფერი უპასუხა, ისღა მოახერხა, მომავლ ბიჭს თვალთ თვალში გაუყარა, ანიშნა—ცუდად არავფერი დაგცდესო.

— სად დადინარ, ბიჭო?

— არსად, ბატონო, ბაბუა მელიტონმა რუს სათავეში გამგზავნა, ჩიბუხი დაჰქარგვია, იმას ვეძებდი. ვერ ვიპოვე, ფეხები კი დავიწყულული.

— ნწუ, ნწუ, ნწუ! რა ჩიბუხი იყო! ვერ ნახე, აბა?!— შეიცხადა მოხუცმა,—მიდი, თბილ წყალში ფეხები დაიბანე, მერე ცხელი მჭადი და ყველი შექამე.

* * *

მუშტარი არ იყო. მოწყენილი მელუქნიები უგემურად ამოქნარებდნენ, დილიდანვე მოეცარათ ხელი, მხოლოდ ჩაფრები გამოთვრნენ ისე, რომ გროშიც არ გადაუხდიათ. იდგნენ მელუქნიები სათემო მოედანზე და ხუმრობით იქარწყლებდნენ ბოლმას.

— უუუ, უუ, უუ!—ღრიალებდნენ სიცილით დაოსებულნი. ვიდაცის თუნუქის კარდალა გამოება ვეება ნაგაზის კულზე.

დიდი და პატარა საყურებლად გამოვიდა. ახლადგადვიებული ურიალნიკი კანცელარის აივანზე გადმომდგარიყო, ვასცქეროდა აოტებულ შეეფარს და ომბახანი ხმით ხარხარებდა.

ამ ორომტრიალში მხოლოდ შოშიტა და მელიტონი არ მონაწილეობდნენ, ორივენი წისქვილის წინ გრძელ სკამზე ისხდნენ და ჩუმად საუბრობდნენ.

უცებ ბიჭმა ყურები სცქვიტა. წამოხტა. წისქვილის თავზე ავარდა.

— მოდიან, ბაბუა მელიტონ!

— მოდიან?!—აფსუფუსდა მოხუცი, მოღვსილი საკლდელა გამოიტანა, მოიმარჯვა, ვასწია შესახვედრად. წინ შიშველი სატმერით მოუძლოდა შოშიტა.

ამდენი შეიარაღებული ხალხის დანახავზე ყველამ პირი დაადო. მელუქნიებმა იყნოსეს საფრთხე, ლოკოკინებოვით შეძვრნენ დუქნებში და დარბები ჩამოხურეს. დაბნეული ჩაფრები ერთმანეთს ეხლებოდნენ, მოულოდნელობისაგან გამოლონჩებული ურიალნიკი უმწეოდ ასავსავებდა ხელებს. მამასახლისი მხოლოდ წვერსდა აცნცარებდა.

— აიყარეთ იარაღი!—ბრძან ეფრემამ, თან ფენზე შეყენებულ თოფი მიუშვირა.

— ახლავე, ახლავე!—ჩქარობდნენ შიშნაკამი ჩაფრები.

აურზაურით ისარგებლა მამასახლისმა, აირბინა კიბეები, შევარდა კანცელარიაში და ჩაიკეტა.

— არიქა, არიქა, მამასახლისი გაგვექცა!—იგრილა ხალხმა, ყველა კიბეს მიაწყდა, მაგრამ მუხის კარი ხომეღოდა ჩაქრავა წამ მასახლისს.

— დაგვენბდი, ნუ დავადებინებ შენი ცოლ-შვილის ცოდვას!—ურჩა ვიდაცამ.

პასუხად შუქრუტანაში თოფის ლულა გამოჩნდა.

— მოვკლათ! გავხრისოთ!—გაცოფდა ხალხი.

— მოიცათ, უკან დაიწით! მეც ვეყოფი მაგას!—პირდაპირ კარისკენ გაემართა ეფრემა.

— ღმერთი არ გაგიწყრეს, თოფი არ გაიხროლო!—შეუძახა. პასუხი არ გაუცია გადამალულს. დაძაბულ ნიჩქმეში, მოდერებული ლულიდან უფრო შემპარავად იცქირებოდა პაწია სიბნელე. მერე? მერე ცეცხლმა იელვა. შოშიტას გააყრუოდა, თოფის ქუნილი აღარც გაუგონია, მხოლოდ ჩაკცილ ეფრემს მოჰქრა თვალი.



— სად დადინარ, ბიჭო?!

— მოჰკლეს, მოჰკლეს!—ატყდა ჩოჩქოლი. მერე ყველაფერი აირია. გაისმა თოფების გრიალი. ნაყუწებად იქვა კანცელარისის პატარა შენობა.

გონს წისქვილში მოვიდა. თავთან მტირალი შოშიტა უჯდა, ტყვიით განვრეტილ ფეხს კი მელიტონი უხვევდა.

— საშიში არაფერი! ექიმთან გავგზავნეთ კაცი. ერთ კვირაში ფენზე დადგები,—ამხნევებდა მონხუცი.

— საქმე როგორ არის?

— კარგად. ახისთავად ავიჩიეთ. ახლა კაცები მოვლენ და წისქვილის პატრონის სახლში გადაიყვანთ. ყველა სოფელში წითელი დროშა ფრიალებს...

— მაშ, გავიმარჯვეთ?!—გახარა ავადმყოფმა.


* * *

მხიარული ურიალულით საქმიანობდა მოხანღეობა. მხოლოდ წისქვილის პატრონი იყო ყურებჩამოყრილი. მის ხანლში ლაზარეთი გახსნეს, გამგედ მელიტონი დანიშნეს, თვითონ მეპატრონე კი სამუშაოდ წისქვილში გამწესეს.

ყოველ საღამოს თავრიალობა იმართებოდა. არჩევდნენ საჭირბოროტო საკითხებს. ინაწილებდნენ მიწებს, ეხმარებოდნენ ღარიბებს. მელუქნიები იძულებული გახდნენ მაცრად განსაზღვრული ფასებით ევაჭრათ, ღვინის გაყიდვა სულ აუკრძალეს. ბოღმამორეული იხსდნენ ისინი, ნაღვლიანად იქნევენ თავებს. ყვარჯნებზე დაყრდნობილი ეფრემა, შოშიტას თანხლებით ჩამოივლიდა, თვალს ჩაუკრავდა რომელიმე მათგანს და ეტყოდა:

— ხალხი ცხვარი როდია, სულ რომ კრიჭოთ! დროა ძარცვა-გლეჯა თავი ანებოთ, პათიოხანი გზით მოიპოვოთ ლუქმა!

მელუქნიები უსიამოვნო ჩურჩულს მორთავდნენ. შოშიტას მხარზე ხელდანღობილი ეფრემა გაუყვებოდა ქუჩას. ჩუმად მიდიოდნენ ერთ ხანს, მერე ხმამაღლა იცნებას დაიწყებდა ეფრემა:



გამორჩევის დატყვევებულები. წინა რიგში იდგნენ შო- შიტა და მელიტონი.

— აქ სკოლას გავხსნი, ჩემო ბიჭო, აბა, შენ იცი, როგორ ის- წავლი აგერ, გვერდით, კლუბს ავაშენებთ! აქვე იქნება ბიბლიო- თეკაქი.

სახეს უმკობდა ტპილი ფიქრი და იმედი. სისხლით ნახვეპი თავისუფლება გულს ათბობდა.

* * *

მაცნე მოვიდა ავისმაუწყებელი: მეფემ უღმობელი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი გამოგზავნაო აჯანყებულ საქართველოს დასას- ჯრელად.

— ვიბრძოდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!—გაიძახოდნენ წითელრაზმელები.

— ალიხანოვ-ავარსკი! ალიხანოვ-ავარსკი!—თავზარდამცემი სა- ხელი დაქროდა ხეობიდან ხეობაში. დაჰქროდა და დაჰქონდა მოა- ხლოებული უბედურების წინათგარძნობა.

წელში გამართული, სახეგასიხონებელი დადიოდა ლუკია— წისქვილის ბატონი—დაიცადეთ, აქაც მოვაო ალიხანოვი!—გულში მჯიღის ცემით ჩაუვლიდა მელიტონს.

— დღეგრძელი იყო ჩვენი მეფის შემწე, მამაცი გენერალი!— სადღეგრძელოებს დადადებდნენ აღტაცებული მედუქნიები.

ქუთაისიდან ჩამოვიდა ყაბალახანის კაცი. კვლავ შეკრიბა შო- შიტამ ერი. ვერხვზე შესული, გაბზარული ხმით ლაპარაკობდა ძვე- ლი ქადაგი: ცუდად წავიდა პირველი რევოლუციის საქმე. ახლა აშკარა ომს აღარა აქვს აზრი, ყველანი სახლებში წახვალთ, მოთა- ვეებს კი მთებში გახიზნავთო.

ჩუმად, უხმაურად წავიდ-წამოვიდა ხალხი. მძიმე ფიქრებით დაზაფრულნი უბრუნდებოდნენ სახლ-კარს. დამწვარ მუგუზლები- ვით ჩაფრფლოდა ყველას გული. თუმცა, სადაც მაინც თვლემდა ჩაუქრობელი იმედი.

* * *

მდინარეს მამყვებოდნენ. ცხენი ხშირად ფორხილობდა. ზოგ- ჯერ წინა მუხლებზე ჩაიჩოქებდა, ჩიჩვირს მდინარეში ჩარგავდა, წახვლას აღარ აპირებდა.

— ჰა, შე სამგლი!—ეჩაჩებოდა ადვირს შოშიტა.
— ფეხი გადაადგი!—ცემდა მუგუზუნს მელიტონი.
ეგრემი კი გმინავდა. საშინლად ტენდა დაჭრილი ფეხი, პი- რუტყვის თითოეული წაბორძიკება აუტანელ ტკივილს აყენებდა. რამდენჯერმე ჩამოქვეითდა, სცადა ფეხით ხიარული, მაგრამ ვერ შეძლო. შიშის პატარა მდინარის უზარმაზარი ლოდებით ამოხრგი- ლი კალაპოტი თითქმის გაუვალი იყო. არა და, გამთენიისას მაინც უნდა მიედწიათ გამოქვაბულამდე.

ტინსა და ტინს შუა ხელისფათურით პოულლობდა შოშიტა გასა- ძრომს, მერე ცხენს გაიყვანდა წვალბებით. ადგილ-ადგილ გუბებდად დამდგარიო მდინარე, მგზავრები ანაზღუდულად შიგ წაშკრავდნენ ფეხს, ძლივხდა გადიოდნენ ნაპირზე.

რიურაზე მივიდნენ გამოქვაბულში. ცაცხვის რტობით გაამ- ზადეს სახელდახელო სარეცელი, წამოაწვინეს დაჭრილი. გვერდით, ხუფრასავით გამართულ ქვაფიქალზე, წყლით საცხე მათარა და საგ- ზალი დაუწყვეს. ორიოდ დღე იოლად უნდა გასულიყო დაჭრილი, მერე შოშიტა ამოუტანდა საქმელს. ბოლოს ერთმანეთი დააიმიდეს და დაემშვიდობნენ.

* * *

იმ დღეს მყურდობდა იყო სოფელში. კვლავ ჩვეული ღიღინით აატარა ნახირი კოჭლმა აღდგომელამ. წყაროდან მომავალი ქალე- ბი თავთავიანთი სახლის გადასახვევებთან სასაუბროდ შეჩერებუ- ლიყვნენ. მხრებზე შედგმულ სველ კოკებს მზის სხივებს ნაირფარად აელვარებდა. ფართო, მტკრიანი შარა ცარიელი იყო, მხოლოდ ძაღ- ლები ჩაყუნცულიყვნენ ალაგ-ალაგ და უურისძირებს იქექდნენ.

ანაზღად, წესიგორას მოსახვევთან მტკრის ღრუბელი ავარდა. ღრუბელს ცხენების თქარათქური და ყიუინა მოჰყვა. მერე ყვილა- ფერი აიწიწა. ქალები წვილ-კვილით შეცვივდნენ სახლებში, დამხხვრევას გადარჩენილი კოკა ჭიშკართან მიწაზე თავის ცემით ანთხევდა წყალს. საერთო ორომტრიალში მხოლოდ მედუქნიები იდგნენ მშვიდად და არხინად იღიმებოდნენ.

— მოვიდა ალიხანოვი მოვიდა! ხმაღვამიშვლებული ყაზახები ეზოებში შეცვივდნენ. წინ ლუ- კია უძღოდათ. ის ანიშნებდა რომელი სახლი უნდა დაერბათ.

— ცეცხლი, ცეცხლი მაგათ!—ხრიალებდა გაბოროტებული. ჯერ კვამლის ბოლქვები ავარდა სოფელში ბლუჯა-ბლუჯა, მე- რე ცეცხლის ენები დაიკლაცნენ შხამიანი მცურავებივით, აიწმარწ- ნენ ზევით, ზევით და ღიცილიცით მოლოკეს ზეცა...

* * *

ორი ნაცრისფერი, შავსაღებინი მერანი მცველთა რაზმით გარშემორტყმულ უცხო ეტლს მოაგელვებდა. ელარუნებდნენ ზან- ზალაკები. კარტუზიანი, ყარაჩოლელი მეტელე ძლივსდა უჭერდა თავს გავეშებულ რაშებს. ეტლის ხვეკრდოვან სავარძელში მხარ- ბეჭიანი, ლეგა ჩოხა-ახალუხით ტანდამშვებებული მამაკაცი იჯდა. მხრებზე გენერლის ჯინჯილები უელვარებდა, ხოლო ფართო მკერ- დი უამრავი ჯვრით შეემკო. თვითმკაყოფილ შავგვრემან სახეს უხ- დებოდა მტაცებელი ფრინველის ნისკარტისდარი ცხვირი და ნასა- თუთევად აწყებილი უღვაშები. ბოროტად მოელვარე თვალებიდან გამოქროთოდა დაუნდობელი სიჯიუტე. ეს იყო თვითონ ალიხანოვ- ავარსკი.

— ურაა, ურაა!—ღრიალებდნენ ყაზახები.
— ურაა, ურაა!—ბლაოდნენ მედუქნიები.

დამცინავად იღიმებოდა გენერალი. ერთ ხანს, თითქოს ქვეყ- ნად ვერავის ამჩნევსო, ისე იყო გარინდებული. მერე ზანტად შე- იშმუშნა. მხლებლისაგან მოწოდებული ფაფახი კეფაზე მოიგდო და მოხდენილი ბეწით გადმოხტა ეტლიდან. გაიარ-გამოიარა. ოქ- რისტარინის მთრანის პრიალა ჩქემებზე აიტყლაშუნა. სულგანაბუ- ლი უცქერდა ხალხი. სამხედროები ქანდაკებებივით გარინდებუ- ლიყვნენ.

— გამოიყვანეთ პატარები! — ბრძანა.
 ერთ-ერთი დუქნის გამორიდან გამორივეს დატყვევებულები. ხე-
 ლიხელჩაკიდებულნი წინა რიგში იდგნენ შოშიტა და მელიტონი.
 — ეს მათხვრები აპირებდნენ მეფის ჩამოგდებას?
 — ჩვენ მათხვრები არა ვართ! ჩვენ პატროსანი, მშრომელი
 ხალხი ვართ! — თამამად შეეპასუხა მელიტონი და წინ წამოდგა.
 ალიხანოვი მიუახლოვდა, ნიკაპში ამოსდო ხელი, თვალეზში
 ჩააცქერდა...

— რა ბრალდება აქვს? — ჰკითხა ხელქვეითებს.
 — წითელრაზმელთა მეთაურს ფარავდა, თქვენო აღმატებულე-
 ბავ!

- ცალი წვერი გაპარსეთ და საციმბიროდ გაამზადეთ!
- ვაიმე, ბაბუაა! — აქვითინდა შოშიტა.
- ეგ ლაწირაკი რიდასთვის დაგჭერით?
- ამ ბებერს ეხმარებოდა, თქვენო აღმატებულე ბავ!
- ოცდაათი წიქლა აკმარეთ და გაუშვით!
- არის, თქვენო აღმატებულე ბავ!

ორმა ჯარისკაცმა შარვალი ჩააძრო საბრალო ბიჭს. მოიტანეს
 მარლწყალში ჩამბალი წიქლები. წინ წამოდგნენ მელიტონი
 დასცხეს დოლებს:

— ბამბარა-ბუმ, ბამბარა-ბუმ, ბამბარა-ბუმ!.. — მოეფინა მო-
 ნოტონური, ჟრუანტილის მომგვრელი ხმა მიდამოს.

შხულოდნენ წიქლები...
 გონს როცა მოვიდა, ირგვლივ არავინ იყო, ბნელოდა. მხოლოდ
 დუქნებიდან მოისმოდა ღრიალიცელი.

* * *

ჩამოდა მწუხრი. წყვილიდით გაივსო კიუხები. ღამეს შეერივ-
 ნენ მთები.

- აუუ, აუუ, აუუ! — გაისმა ფრთხილი ძახილი.
- ეშე-შეი! — გამოეპასუხა ცილაცა.
- გამოქვაბულის სიბნელეს ლანდი მოწყდა.
- ცოცხალი ხარ, ჩემო ბიჭუნე?! — ბოხი, გულაჩუყებული ხმით
 ამბობდა ეფრემი.

— ცოცხალი ვარ, ძია ეფრემ! მაგრამ ბევრი უბედურება კი
 მოხდა! — ყვებოდა სხაპასხუბით შოშიტა.

- ოხ, ძაღლები! — ღრჭენით აწყვეტილებდა დაჭრილი.
- ვაზღვევინებთ, ვაზღვევინებთ! შედარებით უკეთ მაქვს ფე-
 ხი, გამთენიასვე გავწევთ სვანეთისაკენ, იქიდან რაზმელებს გადმო-
 ვიყვანთ, ყოფას ვუტირებთ მაგათ!

- მცემეს და სატევარი წამართვეს, ძია ეფრემ.
- ნუ დარდობ, შვილო, ნამდვილ თოფს მოგცემ!
- ნამდვილ თოფს? ოი, მაშინ თვითონ ალიხანოვს მოგვლავ!

ტკბილ საუბარში იყვნენ გართულნი, როცა მოულოდნელად
 სოფლის მხრიდან შემადრწუნებელი ვაება მოესმათ. გადასახელებზე
 აირბინეს. სახტად დარჩნენ: იწვოდა რიონის მთელი ხეობა. ცეცხ-
 ლის უზარმაზარი ენები გააღმასხებით ლოკავდნენ ზეცას. მეწამულ
 ზვინებდა ქვეულიყვინენ სახლები. შუქზე წერტილებივით ჩანდნენ
 სიმწრისაგან ატორტმანებული ადამიანები. შემაჟრჟოლებელი გო-
 დების დვინი ხანძარზე უფრო ბობოქრობდა. სოფლიდან სოფლამ-
 დე გაქიმულიყო მამხალეების მქროლავი ხაზი. ეს — ცხენებზე ამხედ-
 რებულნი ყაზახები იყვნენ, სახლების ცეცხლის წაიკიდებაში ერთმა-
 ნეთს გაჯობებულნი.

— არა, ამის მოთმენა არ შემძლია. წავიდეთ, წავიდეთ! — წა-
 მოხტა ეფრემი.

ნაშალ კლდეზე ბილიკი იპოვნეს და ნაჩქარევად იწყეს ზეახლე.

* * *

თენდებოდა. ამომავალი მზის სხივები ყინულოვან მწვერვა-
 ლებზე ოქროსფრად აკიაფდნენ, როგორც იქნა, მიაღწიეს უღელტე-

ხილს. დასასვენებლად ჩამოხდნენ. ქრებოდნენ ვარსკვლავები. სე-
 ნეთის ქედზე სავარცხლის კბილებით ჩარიგებულ იყვნენ. ზეები,
 მათ შორის ნაფლეთებდა ჩანდა ლურჯი ზეცა. დაქანცული მგზავ-
 რები როდი ამჩნევდნენ ახალშობილი დილის მშვენიერებას. გაჭირ-
 ვება ყველაფერს ავიწყებდათ. ჩქარი ხიარულისაგან საშინლად გა-
 სივებულყო ეფრემის ნატყვიარი ფეხი.

— შორს არის, ძია ეფრემ, სვანეთი?
 — კიდეც სამ ხევს გადავივლით და მივალთ.

დაჭრილი ცდილობდა არ დაეკენესა. მიდიოდნენ. ის იყო გაი-
 არეს ზეკარის ყელი, თავდაღმართზე დაშვებას აპირებდნენ, რომ
 უცებ ვილაცამ მრისხანედ შეუძახათ:

— არ გაინძრეთ!
 — ჰა, თოფი! აი, იმ ქვის უკან ჩაწექი! — უბრძანა ბიჭს ეფრემ-
 მა, — გასროლა არ დამასწრო.

თვითონ მაუწერი მოიმარჯვა. მოხრილ ხეს გაეკრა. გვიანდა
 იყო. ბუჩქებიდან მოღერებული ხიშტები ელავდნენ. თანდათან ვიწ-
 როვდებოდა რკალი.

— დაყარეთ იარაღი! დაგვნებდით!

დაიქეა ეფრემის მაუწერმა, ისროლა შოშიტამაც. პასუხად
 სროლა-იჟინით წამოვიდნენ. ხანმოკლე უთანასწორო ბრძოლის
 შემდეგ, თამამი მოწინააღმდეგენი დაატყვევეს და ყაზახთა უფრო-
 სი დაკითხვას შეუდგა:

- წითელრაზმელები ხართ?
- სავაჭროდ მივდივართ სვანეთში...

მოულოდნელად ყაზახებს ერთი ჩაფარი გამოეყო. წაიგრძელა
 კისერი და თვალეზგაფართოებული დააშტერდა ეფრემს:

— გიცანი, შენი ჭირიმე, წითელრაზმელების უფროსი ხარ —
 ეფრემა ლომთაძე...

შოშიტამაც იცნო ჩაფარი. ის იყო, მიხაკოს რომ ცემა ამას წი-
 ნათ. გაექანა, თავით დაეძგერა გამცემს, მაგრამ რას გახდებოდა
 ბავში ვაჟკაცთან. სახეში ძლიერი დარტყმისაგან ძირს უვაროდ
 გაიშლართა. ოჰო, ეს რა ვერძი ყოფილაო, — ხარხარებდნენ ყაზა-
 ხები.



— აქ სკოლას გაგხსნით, ჩემო ბიჭო, აგერ, გვერდით.
 კლუბს გაგაშენებთ...

გვიან მოვიდა გონს. შემზარავი ხანახაობა გადაეშალა თვალ-
წინ: წიფლის გამოშვებოლ ტოტზე ძია ეფრემი ეკიდა.


ეპილოგი

თებერვლის მზიანი დღე იყო. თვალდათვალ დნებოდა თოვ-
ლი. რიონისაკენ მიჰქროდნენ თავაწყვეტილი ნიაღვრები. მიდამოს
მოსდებოდა რილს-ჭრილო. გაზაფხულის მაცნებად გაფურჩქნი-
ლიყვნენ ყოჩივარდები. უკაცრიელ შარაზე იდგა თოვლჭყაბი. მი-
წის მსუყე ოსშივარში განაბულიყო სოფელი. ბატონობდა პირვე-
ლი თბილი დღის მომთენთავი სიჩუმე. უცებ, უცხო მუხიკის ტპი-
ლი ხმა გაისმა. მას საამოდ შეწყობილი ხიმღერა მომყვა. ყველა
გარეთ გამოეფინა. შარაზე ლაშქარი მოდოდა.

- წითელი არმია, წითელი არმია მოდის!—აჩოჩქოლდა ხალხი.
- მამისონის უღელტეხილზე გადმოსულან ამ ზვავიანობას!
- ბარაქადა მაგათ ვაქაცობას!
- ხედავთ, ყველას ვარსკვლავიანი ქუდები ხურავს!
- გვიდიმიან, ბიჭო, ქუდებს გვიქნევენ.
- გაუმარჯოს წითელ არმიას!
- ვაშაა, ვაშაა!

მწუობრად მომავალ ჯარს ერთი ცხენოსანი გამოეყო, წისქვილ-
თან მოჯირბოდა.

- ბაბუა მელიტონი ბაბუა მელიტონი!
- ჰაი, აქა ვარ!—ჩამოხობდა სხვენზე წითელარმიელთა ხაც-
ქერლად ასული მოხუცი.
- რომელი ხარ, შენი ჭირიმე?
- ველარ მიცანი?
- შოშიტა, ჩემო თხუთმეტი წლის დაკარგული ბიჭო, შენა
ხარ?!—გულში ჩაიკრა გაზრდილი და დაკოცნა.
- ეფრემის სისხლი ავიღე, ბაბუა! ვიბრძოლე და თავისუფ-
ლება მოვიტანე!
- ღმერთმა ხელი მოგიმართოს!—სიხარულით აწლუქუნდა მე-
ლიტონი, მერე სხინაკლულ თვალეებზე ხელი მოიჩრდილა, ხიამა-
ყით გახედა მიმავალ ლაშქარს, ანაზღად შეკრთა, უკან დაიხია.
- ეგ რაღაა, შვილო, ცეცხლივით რომ ბრიალებს?!
- წითელი ღროშებია, ბაბუა, ბოროტი ცეცხლის ენები აღარ
მოლოკავენ ჩვენს ზეცას!
- ამინ! გაიხარე, შვილო!
- შოშიტამ ერთხელ კიდევ გადაკოცნა მოხუცი, მერე ცხენს დე-
ზი ჰქრა და ნაწილს წამოეწია. ბედნიერების ცრემლებით თვალე-
გაბრწყინებული გასცქეროდა ბაბუა მელიტონი გაზრდილს.
იდგა 1921 წლის თებერვალი.



გამოჩენილ ქართველ პოეტს სანდრო ეული-ქ-
რიძეს დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვა-
წეობის 50 წელი შეუსრულდა.

სანდრო ეული-ქურიძე არა მარტო პოეტური
სიტყვით, პრაქტიკული რევოლუციური მოღვაწეო-
ბითაც იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარებისათვის და შემდეგ, მთელი ორმო-
ცი წლის მანძილზე, გატაცებით უმღერდა კომუ-
ნისტურ პარტიასა და ხალხთა ძმურ ოჯახს, სო-
ციალისტურ მშენებლობასა და ქვეყნის განახლებას.

არაერთი ნაწარმოები უძღვნია სანდრო ეულს
ჩვენი ნორჩი თაობისათვის.

მცოვანი პოეტი კვლავ ნაყოფიერად განაგრძობს
შემოქმედებითს მუშაობას.

* * *

წიგნები ჩემი მეგობრებია

თაროებიდან დილით მხედებიან,
თითქოს მელოდენ დიდი ხანია,
სიბრძნის თვალეებით შემომცქერაიან,
მათ შორის ყოფნა მეც მიხარია—
წიგნები ჩემი მეგობრებია.

ერთად არიან,—ერთად მხედებიან,
რას არ მეტყვიან, მეუბნებიან,
რამდენჯერ ერთად დაგვლაშობია,
რამდენი ღამე დაგვოფნებია—
წიგნები ჩემი მეგობრებია...

ერთ მათგანს ხელში ავიღებ ფრთხილად!
და „დედაენას“ ვაკოცებ თბილად,
თიღქოს სწყენია, როცა მიცქერის,
თოვლს ჩემი თმა რომ დაუფარია,—
იგი ბავშვობის მეგობარია.

საქართველო

პედაგოგიკური მუშაობა



მეტეხის ციხესთან, ახალ ხიდს რომ გასცდები, მტკვრის მარჯვენა ნაპირს სულ ახლახან გაყვანილი ფართო მაგისტრალი მიჰყვება, მხარმარცხნივ კი მაღალი, რუხი კლდე მისდევს მდინარეს. ჯერ ძველი მეტეხი, შემდეგ ქართული აიენიანი სახლები გადასცქერის მდინარეს მაღლიდან. უკანასკნელ ხანებში ამ ადგილებმა სრულიად შეიცვალეს სახე, თითქმის მთლიანად გარდაიქმნა თბილისის ეს უძველესი უბანი.

აი, თუნდაც ეს ელექტროსადგური—ორთაქალაქისი. ვერც კი მიხვდები, სად არის აქ სადგური და სად კაშხალი. მათ ნაცვლად რკინა-ბეტონის განიერი ხილია, რომელიც თბილისის ორ უძველეს უბანს აერთებს ერთმანეთთან. ხილი სამ ბურჯზეა დაყრდნობილი, მათ გარშემო კი მრისხანედ ხმაურობს მღვრიე წყალი. მდინარეში ჩადგმულ ამ საყრდენებსა და კიდეც ორ განაპირა ბურჯს თაღოვანი, ოთხკუთხა კოშკურები ადგას თავზე, მსუბუქი აფურული გაღვრეა კი ერთმანეთთან აერთებს მათ. ასეთია დაახლოებით სადგურის გარეგანი სახე. სადგური დიდი სიმძლავრით არ გამოირჩევა. იგი სულ 18 ათას კილოვატ ენერგიას იძლევა. ამიტომ მნახველი ეჭვსაც ვერ შეიტანს, რომ ამ ლამაზ, კოხტა ნაგებობაში განხორციელებულია ჩვენი ინჟინრების არაერთი ბრწყინვალე იდეა, და რომ იგი ერთადერთი და ორიგინალურია საბჭოთა კავშირში.

მთავარი სიახლე ამ სადგურში ის არის, რომ იქ მხოლოდ ერთადერთი შენობაა. ალბათ ბევრ თქვენგანს გაუვლია ზაპესთან და შეუმჩნევია, რომ წყალსაგუბარი მცხეთასთან არის აგებული, იქიდან წყალი არხით მიდის და რამდენიმე კილომეტრს ქვემოთ, უკვე ავჭალაში, სააგრევატო სადგურია აშენებული. ასევეა მოწყობილი რიონჰესი და თითქმის ყველა წინააშენებული სადგური.

ეს შენობა ერთდროულად ემსახურება სამ საქმეს: კაშხალიც არის (ესე იგი, წყლისშემგუბებელი და დონის ამწვევი) და ლამისაგან კალაპოტის გამწმენდიც.

ამ სადგურის მეორე თავისებურება ის არის, რომ ელექტროტურბინები თვით შენობის საყრდენ ბურჯებშია ჩადგმული.

მტკვარს, ჩვეულებრივ, ბევრი სილა და ლამი მოაქვს თან და, თუ კალაპოტი ხშირად არ გაიწმინდა, წყალი კალაპოტს აავსებს, ქუჩებზე გადმოვა. ამისათვის ბურჯებს შორის რკინის სამი უზარმაზარი კარია. როდესაც კალაპოტის გაწმენდა უნდათ, კარს ასწევენ და წყალს თვითონ გააქვს შლამი. ჩვეულებრივ კი სამივე კარი ჩაკეტილია და წყლის დონეც მათი საშუალებით არის აწეული.

მაგრამ მაინც ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ამ სადგურში ტურბინები და გენერატორებია. ასეთი ტიპის მანქანები არც ერთ საბჭოთა ელსადგურში არ დგას; მეტიც, მსოფლიო პრაქტიკაში ჯერ არსად


ყოფილა ასეთი დიამეტრის ტურბინები გამოყენებული. რადიუსი: 10 მეტრი. ტურბინები, როგორც ჩვეულებრივით, თვით ბურჯებში დამონტაჟებული, მაგრამ აქ ისინი ვერტიკალურად კი არ დგანან, როგორც ჩვეულებრივ არის მიღებული, არამედ—ჰორიზონტალურად. ტურბინის ფრთები ბრუნვისას ერთდროულად აბრუნებენ გენერატორის რგოლს, რომელიც იმავე ღერძზეა წამოგებული.

ასეთი სადგური მეტად იაფი ჯდება და მისი აშენება სულ მოკლე დროში შეიძლება.

ორთაქალაქისი თავისებური გიგანტური ლაბორატორიაა, სადა უსწარმოებს ბევრი ახალი სამშენებლო მეთოდისა და საშუალების გამოცდა. სადგური სულ რამდენიმე წელია მუშაობს და ახლა უკვე ნათელია, თუ რა გაუმჯობესებაა საჭირო, რომ შემდგომში აშენებულმა ასეთი ტიპის სადგურებმა საგსებით გაამართლონ თავიანთი დანიშნულება.

სილამოს, როდესაც თბილისს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დასცქერის, ქალაქის ქუჩები, ეზოები, სახლები და ქარხნები მოციფე ელნათურებითაა გაჩირადლებული. ორთაქალაქისის შუქიც ანათებს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს.

ინჟინერი ი. გელოჰანი



ნამდვილი ამბავი

ყველაფერი ზღვაზე დაიწყო, არა, ოკეანეზე, სადაც კურილიის კუნძულებთან ახლოს. ციოდა, ძალიან ციოდა, ისე, როგორც იანვარში იცის შორეულ აღმოსავლეთში. და, მართლაც, ჩვიდმეტი იანვარი იყო. თოვლის ფანტელებს გადაეთეთრებინა ირგვლივ არემარე, მახლობელი კუნძულიცა და ოკეანეც. ეს ვეებერთელა ოკეანე, რომელსაც რატომღაც წყნარს ეძახიან, ჰქუხდა და მღელვარებდა. და, იცით, ამ ამინდში კუნძულის ნაპირთან პატარა კარჭაბი დაცურავდა, ისეთი პატარა, რომ ერთი ავტომანქანაა. თუ დაეტყოდა ზედ ბუნებრივია, რომ კარჭაბზე ადამიანებიც იქნებოდნენ და, მართლაც იყვნენ. ისინი ოთხნი იყვნენ, ოთხივე—ოცდაერთი წლის, ოთხივე—მამაცი, ყოჩაღი და გამბედავი.

ზღვა მრისხანედ ეხეთქებოდა ნაპირს და ცდილობდა წაერთმია მისთვის ის ერთადერთი კარჭაბი, რომელზედაც ოთხი საბჭოთა ადამიანი, ოთხი საბჭოთა მეომარი იყო, და შეძლო კიდევ მუხანათმა ზღვამ ამ საშინელი განზრახვის სისრულეში მოყვანა.

და გაიტაცა ოკეანემ პატარა კარჭაბი. ამოღ ექებდნენ მეგობრები ოთხ მამაც ადამიანს, ამოღ ექებდნენ ხომალდები ზღვაში, თვითმფრინავები—ცაში, მიწაზე—ადამიანები. იპოვეს რამდენიმე ნივთი ზღვის მიერ გამოიყვანილი კარჭაბიდან.

გადიდონენ დღეები და ისინი არა ჩანდნენ. ...კარჭაბი ოკეანეს გაეტაცა და სათამაშოდ ექცია. სახლისოდენა ტალღები ბურთივით ტყორცნიდნენ. სიცივე იხმეს ტალღებმა და ისიც ეახლა მათ. არც შიშობს დაუგვიანებია ძალიან, რადგან ცოტა ბური და რამდენიმე ქილა კონსერვი ჩქარა გათავდა. წყალი იყო გარშემო, მაგრამ წყურვილიც ჩამოვიდა განწირულ კარჭაბს. წყლის ულუფა ნახევარ ჭიქამდე შემცირდა დღეში, ესენი კი მაინც ცოცხლები იყვნენ და ებრძოდნენ ოკეანას.

მეგობარს დახადების დღე გადაუადგეს ოკეანეში და მთელი ჭიქა წყალი შესთავაზეს კიდევ... მაგრამ მან უარი თქვა მთელ ჭიქაზე. გადიდონენ დღეები, მიიწურა თვენახევარი, ორმოცდარვა დღე, და გათენდა ორმოცდამეცხრე; უკან იყო ოკეანეში გავლილი ათას ექვსასი კილომეტრი. აღარ იყო არავითარი საკვები... ნელ-ნელა ქრებოდა მათი ჭამრები და ჩექმებიც, ეცლებოდათ ღინე, როცა ერთმა მათგანმა ჩუმი, ოდნავ გასაგონი ხმით თქვა: — გემი!

ოთხივე ეცა კარჭაბის მოაჯირს. ეს არ იყო მოჩვენება. პორიზონტზე მართლაც ჩანდა ვეებერთელა სამხედრო ხომალდი, რომლიდანაც მალე აფრინდა ვერტმფრენი და მეგობრები ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდზე გადაიყვანეს.

— რაც შეიძლება მალე გავაგზავნეთ სამშობლოში!—ითხოვეს მამაცმა მეომრებმა.

სამხედრო ხომალდი სანფრანცისკოს ესტუმრა, სადაც საბჭოთა მეომრები ზემოთ მიიღეს. მათ შესახებ წერდნენ გაზეთები, ყვიროდა რადიო; ფეხდაფეხ სდევდა მათ კორესპონდენტთა არმია. დიად, ისინი გმირები იყვნენ და, როცა მათ კითხეს:

— რამ გავაძლიებინათ 49 დღე ოკეანეში?— მათ ერთმანეთს გადახედეს და თქვეს:

— ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვართ! და მართლაც, ისინი საბჭოთა ადამიანები არიან, ისინი ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები არიან და მე მიხარია, რომ მათი თანამემამულე ვარ.

ნანული უჩაგა,

თბილისის 87-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.




„შვილი და არწივი“—არუბენ შახბატოვა, 48-ე სკოლის VI კლ. მოსწავლე.



„ღეღე“—გოგია გეგიაშვილი, 39-ე სკოლის VII კლ. მოსწავლე.



„ცხენი ქმნიტი“—იურა ხოკოლოვა, 20-ე სკოლის VI კლ. მოსწავლე.



„სვალტის დაბბბ“—გოგია შუკაშვილი, 23-ე სკოლის II კლ. მოსწავლე.



8454

„მარულა“—ირაკლი რევაზიშვილი, 6-ე სკოლის VI კლ. მოსწავლე.



„ალბანა და ჩალბანა“—გურამ მათიაშვილი, 3-ე სკოლის III კლ. მოსწავლე.



„კაცი ბარი“—ირაკლი მარგველაშვილი, 58-ე სკოლის VII კლ. მოსწავლე.

მორიგე

სკოლისაკენ ჩქარობს გია, დღეს ხომ გია მორიგეა! ჰა, შედო კლასის კარი, მოიმარჯვა გიამ ჩვარი, დატრიალდა უმალ სწრაფად, აკრიალებს გია დაფას... დაიბრუნა სკოლის ზარი. — ყველაფერი რიგზე არი!— გაღიმიულ მასწავლებელს მოახსენებს გია წყნარი;

ყოჩაღ, გია! ჩვენი გია მუდამ კარგი მორიგეა.

ვახილ თევზაძე,

ვანის რაიონის სოფ. მთისძირის შეიღწიანი სკოლის VII კლ. მოსწავლე.



„თავისუფალი ნიღოზა“—ვლადიმერ იუზუბაშვილი, 39-ე სკოლის X კლ. მოსწავლე.

საბჭოთა საპარტიველო

საბჭოთა საპარტიველოს უკვე ორმოცი წელია, ხალხი ზემობს დიდ თარიღს—ხალისობენ და მღერაიან.


ჩვენი სახლები აშენდა, ჩვენი ბალები გაშენდა, და ჩვენი დედისამშობლო გაღამაზდა და დამშვენდა.

შრომა სულ უფრო ჩაღებდა, სწავლისკენ გვიბობს ნალარა, ჰაბუქს ჰგავს ჩემი ქვეყანა, ვერ მოერივება ჰალარა.

ზაზა დარასელი,

თბილისის 58-ე საშუალო სკოლის IV კლ. მოსწავლე.

ფიქრს მისცემია რაზმის
საბჭოს შემადგენლობა:
უნდათ, რაც შეიძლება
მრავალფეროვანი და საინ-
ტერესო იქნეს მომავალი
შეკრება.



თეხეკვლის ყვავილეტი

ჩვეულებრივი სკოლაა, სპორტუ-
ლი მოედნითა და პიონერთა ოთახით.
ბავშვებიც ჩვეულებრივნი არიან. სულ
პატარების მკერდს ოქტომბრელთა
ნიშანი ამშვენებს, უფრო მოზრდილე-
ბისას — ალისფერი ყელსახვევი. შეს-
ვენებებზე წითელყელსახვევიანებს ოქ-
ტომბრელები ეხვევიან გარს, დიდ
შესვენებაზე კი შათ საყვარელი კუთ-
ხე აქვთ — პიონერთა ოთახი. აქ შეიძ-
ლება წიგნის კითხვა, ალბომის გა-
ფორმება, პლასტელინისაგან სათამა-
შოების ძერწვა. და, რაც მთავარია,
აქ უფროსი პიონერხელმძღვანელია —
პარო. მიუხედავად იმისა, რომ მარო
ხელმძღვანელს უკვე მათი ტოლი გო-
გონა ჰყავს, მაინც რა მეგობრულია
იგი ბავშვებთან! ვთქვათ, რაზმის

კედლის გაზეთისათვის წერილი გაქვს
გასამზადებელი... მაშინ იცოდე, რომ
შენს ყოველდღიურ საზრუნავს მარო
ხელმძღვანელი გაგიგებს: გაბუტუ-
ლებს შეგარიგებთ, შენთან ერთად
იფიქრებს, როგორ გამოსწორდეს
ორიანი, როგორ დაიწეროს პატარა,
მაგრამ ორიგინალური წერილი კედ-
ლის გაზეთისათვის.
ჰოდა, ამ ჩვეულებრივ სკოლაში
სწავლობენ, შრომის ჩვევებს იმუშა-
ვენ და მეგობრობენ ბავშვები, რო-
მელთა შესახებაც, მოდიოთ, ვისაუბ-
როთ ამ ნარკვევში.
მაშ, იცნობდეთ:
თბილისის 84-ე სკოლა.
მე-41 კლასი.
მე-8 რაზმი.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარე — მა-
ნანა თათელაძე. პატარა, თეთრბაბ-
თიანი და თვალგაბარწყინებული
გოგონა.
რაც არ უნდა ჰქვიანი იყოს მანა-
ნა, იგი მართო მაინც ვერ შეძლებს
ამდენ საქმეს გაუძღვეს წინ. ამიტომ
მასთან არიან საბჭოს წევრები: ნანუ-
ლი შაბანოვა და ლეილა კორინთელი,
რაზმის აქტივისტები: მერაბ გოგო-
ლაძე და თენგიზ შაიშმელაშვილი,
სოსო გამზარდია და ეთერ ნაცვლი-
შვილი.
აი, სხედან ისინი პიონერთა ოთახ-
ში, ლაპარაკობენ ჩუმად, რომ სხვებს
ხელი არ შეუშალონ, მაგრამ სახეებ-
ზე ეტყობათ, რომ ღელავენ. ეს არცაა
გასაკვირი: ახლოვდება თებერვლის
დღეები. თებერვალი! თებერვალი!



ეს ხომ მან მოიტანა ჩვენს სამშობლოში ოქტომბრის შუქი. ორმოცი წელია თებერვლის მზე ანათებს საქართველოს.

ჰოდა, მერვერაზმელებსაც გულით სურთ ღირსეულად შეხვდნენ თებერვლის დღეებს. ეს მით უფრო აჩქროლებს პატარების გულს, რომ სწორედ ნოემბრის დღეებში გაუკეთეს პირველად წითელი ყელსახვევები, შვიდ ნოემბერს უწოდეს მანანასა და მის მეგობრებს პირველად ბიონერები.

სულ რამდენიმე თვეა მას შემდეგ, მაგრამ მერვერაზმელებს სურთ არ შეარცხვინონ ბიონერის სახელი, მოწინავეთა შორის იდგეს მათი რაზმი.

თებერვალს ღირსეული შეხვედრა უნდა!

ამიტომ იყო რომ პატარა მეგობრები ნოემბრიდანვე ემზადებოდნენ მის შესახვედრად. როგორი მხოლოდ საზეიმო შეკრებით უნდა ამოიწუროს ასეთი თარიღი? შეკრებაზე ადვილი რა არის უპატაკე რაზმის ხელმძღვანელს, წაიკითხე კარგი ლექსები, იცეკვე, იმღერე და კმაყოფილი დაბრუნდი შინ! მაგრამ ასე არ უნდოდათ პატარებს. გადაწყვიტეს, — დღიდან ბიონერთა რიგებში მიღებისა, ყოველი საქმიანობა თებერვლისათვის მიეძღნათ.

დღემდე მთელმა რაზმულმა 7 ტონა ჯარით შეაგროვა. ნუ დაივიწყებთ, რომ აქედან ნახევარი ტონა სწორედ მერვერაზმელების ხელითაა შეგროვილი; სკოლიდან რომ ბრუნდებიან, თვალეები აქეთ-იქით უჭირავთ: აბა, სადმე ხომ არაა გადაგდებული ლითონის კასრი, რკინის ძველი საწოლი, თუნუქის კოლოფები... იმ დღეს ერთმა ბიონერმა თავისი ველოსიპედი მოიტანა. მარო ხელმძღვანელმა გაიცინა, უკან წაიღეო, უთხრა. ველოსიპედი ჯერ კიდევ სულ ახალია და, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ გაგასეირნებსო. კაცმა რომ თქვას, გულში გაეხარდა ბიჭუნას, მაგრამ მაინც

წუხდა: ბიონერული ორწლედისათვის ჩვენმა რაზმულმა 20 ტონა ჯარითის შეგროვება გადაწყვიტა და ამდენს, აბა, როგორ მოვასწრებთო?

როგორც ყველა სხვა სკოლაში, ისე აქაც, 84-ეშიც დულუნებდნენ მტრედები. მტრედები კარგია, მაგრამ მოვლა-პატრონობაც ხომ არის საჭირო. ჰოდა, ჩვენი მეგობრებიც დასტრიალებდნენ თავს. მეოთხე კლასში, ფანჯრის რაფაზე მთელი ზამთრის განმავლობაში ყვავილობდა ქოთნის მცენარეები; ესეც ჩვენი ბიონერების დამსახურებაა. ისინი ხშირად დადიან ბიონერთა სასახლის ბოტანიკის კაბინეტში. სწავლობენ, თუ როგორ მოუარონ თავიანთ მწვანე მეგობრებს.

კლასში რომ სანიმუშო სისუფთავეა, დაფა რომ ყოველთვის გაკრიალებულია და ცარციც ადვილზე დევს, ესეც ბავშვების დამსახურებაა — იციან, ბიონერს სისუფთავე უნდა უყვარდეს.

ჰოდა, გვიახლოვდება თებერვლის დღეები.

რაზმის საზეიმო შეკრებაზე აუცილებლად უნდა მოიწვიონ სულ პატარა მეგობრები — ოქტომბრელები. ლილი თევზაძე და მარინა მენტეშაშვილი ოქტომბრელების ნამდვილი მეგობრები არიან: უკითხავენ წიგნებს, ესმარებიან გაკვეთილების დამზალებაში. ახლა უფრო განმტკიცდა მათი მეგობრობა. მერვერაზმელები თავს დასტრიალებენ პატარებს. გადაწყვიტეს, ოქტომბრელებს გააცნონ ჩვენი

ქვეყნის შავბნელი წარსული. უამბონ ბევრი რამ საქართველში ნაყოფიერდა, ყოსა და ბრწყინვალე მომავალზე. «ჩემი ბაბუა» — აი, თემა საუბრისა, რომელიც ერთმა ბიონერმა ჩაატარა პატარებთან. ბიჭუნამ უამბო უმცროს მეგობრებს თავის საყვარელ პაპას შესახებ. თურმე, პაპა ბავშვობისას სოფელში მოჯამაგირედ უდგა გამდიდრებულ ბობოლას. მერე ქალაქში ჩამოვიდა და ვილაც ჩინოვნიკთან ხელზე მოსამსახურედ მუშაობდა. მაგრამ დაიგრვინა ოქტომბრის რევოლუციამ, შემდეგ თებერვლის მზემ შემოანათა საქართველოში და პაპამ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. დღეს ამ ჭალარა კაცს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქითაც იცნობენ და პატარა ოქტომბრელებიც ამაყობენ, რომ მისი ცხოვრების გზა შეისწავლეს.

მერვერაზმელებმა კოლექტიური სგლა მოაწყეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში. თვალცრემლიანნი შეპყურებდნენ სცენას, სადაც პატარა გიქორი იტანჯებოდა. დაიხურა ფარდა. მეგობრები გარეთ გამოვიდნენ და თავისუფლად ამოისუნთქეს: რა კარგია ბედნიერი ქვეყნის შვილობა! აქ ყველა შენს სიხარულზე ზრუნავს!

რა კარგი, რა ძვირფასია მეგობრობის გრძნობა! რა სასიხარულოა, როდესაც იცი, რომ შორს, მრავალი კილომეტრის იქით ვილაცა შენზე ფიქრობს, ვილაცას ახსოვხარ და მე-

უფროს ბიონერხელმძღვანელთან, მაგრამ მესხთან მიიბრინეს მერვერაზმელებმა რჩევა-დარჩევების მიხალბადა.





უხარიათ მერვერაზმელებს—ამდენი ბოთლი არც ერთ რაზმს არ შეუგროვებია.

გობრულ ამანათებსაც შენსკენ აგზავნის.

არის ასეთი ქალაქი: ყაზანი. ბევრი სკოლაა ყაზანში, მაგრამ ჩვენს პატარა მეგობრებს მეთათე სკოლა იზიდავს.

ამ სკოლასაც ჰყავს მე-4¹ კლასი. მერედა; რა კარგი ბავშვებია იმ კლასში, რა ჭკვიანები! საიდან ვიცით მათ შესახებ? ვიცით, რადგან 84-ე სკოლის მერვერაზმელებმა ბევრი რამ გვიამბეს პატარა ყაზანელებზე: სულ ცოტა ხანია, რაც მათ შორის მეგობრული მიწერ-მოწერა გაიბა. ახლა კი ფოსტა ხშირად გზავნის მურაბით, ხილითა და ჩურჩხელებით სავსე ამანათებს. ამანათს ზედ კობტად აწერია:

ქ. ყაზანი.

მე-10 სკოლა.

მე-4¹ კლასის მოსწავლეებს.

ეს მეგობრობაც თებერვლის დღეებს მიუძღვნეს თბილისელმა პიონერებმა. მათ ყაზანელ ტოლებს საქართველოს ხედებით დამშვენებული ალბომი გა-

უგზავნის და თან საკუთარი ფოტოსურათებიც მიაყოლეს, — ჯერჯერობით ასე გავცნოთ ერთმანეთს, მერე კი პირადად უნდა გნახოთ ჩვენს მზიურ საქართველოში.

როგორ გაიხარეს მერვერაზმელებმა, როცა ფოსტალიონმა მოსალოცი დეპეშა გადასცათ: «გილოცავთ ახალ წელს!» — წერდნენ ყაზანელები. მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ რაზმის შეკრება მხიარული ყოფილიყო. ამისათვის მისი ჩატარება გარეთ, ღია ცის ქვეშ გადაწყვიტეს. იმსჯელეს და ისევე სპორტული მოედანი აირჩიეს. შეკრებაზე ოქტომბრელებთან ერთად მშობლების დაპატიჟებაც გადაწყვიტეს. შეკრებაზე უნდა თქმულიყო, თუ რა გააკეთეს რაზმელებმა, რა წვლილი შეიტანეს რაზმეულის საქმიანობაში. ლეილამ გადაწყვიტა ეამბნა ტოლებისათვის, თუ როგორ დაეხმარა დედას სადილის დამზადებაში. სოსო გამზარდას კი, რომელსაც ყვავილები უყვარს, უნდა მოეთხრო მეგობრებისათვის როგორ გაახარა ოლეანდრი. ეთერ ნაცვლიშვილმა, თენგიზ შაიშველაშვილმა ოქტომბრელების სიმღერა: «კურდღელი» შეისწავლეს. მერაბ გოგლიძემ ასეთი ალბომი შეადგინა: «ჩემი საყვარელი წიგნი». მან ალბომში საყვარელი წიგნების მოკლე შინაარსი ჩაწერა და როგორც შეძლო ისე დაასურათა. ესეც ხომ უნდა ნახონ სტუმრებმა?

«მათ ასახელეს სამშობლო» — ასეთი სათაური მისცა ეთერ ნაცვლიშვილის რგოლმა ალბომს. აქ ნახავთ კობტად ჩაწებებულ სურათების ამონაჭრებს გაზეთებიდან და ჟურნალებიდან. ამ ალბომის საშუალებით შეგიძლიათ გაცნოთ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მშრომელებს, ექიმებს, ინჟინრებს, ჩაის მკრეფავებს, მემალაროელებს, ფეიქრებს. ეთერ ნაცვლიშვილის რგოლებს ახლა ერთი დიდი სურვილი აქვთ: დაუმეგობრდნენ სოციალისტური შრომის გმირს, ფეიქარ ეთერ სოლომონიას. პატარებმა გაიგეს, რომ დეიდა ეთერი სულ ახალგაზრდა ქალიშვილია. იგი ობლობაში გაიხარდა. არა, აუცილებლად უნდა მოიწვიონ დეიდა ეთერი თავიანთ შეკრებაზე და



უამბონ რაზმის ცხოვრებაზე თხოვონ, რომ მანაც დაათვალიერებინონ მშობრა მეგობრებს თავისი მშობლიური აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა.

მერვერაზმელებმა გადაწყვიტეს შეკრების საზეიმო ნაწილი საინტერესოდ ჩატარებიათ. რა თქმა უნდა, ლექსებსაც წაიკითხავენ, იმღერებენ, იცეკვებენ, მაგრამ თამაშობანიც ხომ უნდა გამართონ? ბიჭებმა გადაწყვიტეს შეისწავლონ ქართული თამაშობა: «ლახტი». გოგონებმა ასეთი თამაში გამოიგონეს: «ყვავილნარი». — ყველა გოგონას ყვავილის სახელი ერქმევა და დაძახილზე უნდა გამოემართოს. თუ თავისი სახელი, ე. ი. ყვავილის სახელი შეცდა, იგი ქულას კარგავს. თამაშში გამარჯვებულისათვის საუკეთესო თაიგულია დამზადებული. თამაშში დამარცხებულმა კი ერთი ყვავილი უნდა შემატოს კლასის ფანჯრის რაფას.

კარგია, როცა პიონერულ კოცონს მოუჯდები გვერდით და საინტერესო საუბარს მოისმენ. «ჩემო ლამაზო სამშობლო!» — ასეთი იქნება საუბრის თემა, რომელშიც ყველა პიონერი მიიღებს მონაწილეობას. ისინი მოყვებიან, თუ რატომაა სამკუთხა ჩვენი წითელი ყელსახვევი, როგორია საქართველოს ღერბი და ალაში, რას ნიშნავს იყო პიონერი, და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალათ, რაც ასე საინტერესოა ყველა ჩვენგანისათვის. ილაპარაკებენ იმაზე, თუ რა მოუტანა თებერვალმა ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ბავშვებს.

დასასრულ ოქტომბრელების გუნდი, რომელსაც პატივცემული გიორგი ბულაძე ხელმძღვანელობს, იმღერებს ბედნიერ ბავშვობაზე, ჩვენი დიდი ქვეყნის შესახებ.

პიონერებმა გადაწყვიტეს, თებერვლისადმი მიძღვნილ შეკრებაზე საჩუქრები დაუერიგონ უმცროს მეგობრებს: ხილი, ყვავილები, ტკბილეული და, რაც მთავარია, წიგნები, ლამაზი წიგნები! ოჰ, რამდენი კარგი რამაა ნაამბობი ამ წიგნებში, რამდენი ლამაზი სურათი ამშვენებს მათ.

თენდება ნანატრი დილა! მერვერაზმელები მშობლიური სკოლისაკენ მიიჩქარიან, რათა ყველაფერი, რაც ჩაიფიქრეს და განიზრახეს — დღეს, ამ შეკრებაზე განახორციელონ.

სულ გამარჯვებით გველოთ, თებერვლის ყვავილებო!

ნაზი ქილასონია

ფოტო დ. იაკობაშვილისა



ბიჭები შედგნენ...
ტიხონი მიუახლოვ-
და მათ.

კ. პავსკოვსკი

ნახ. რ. ცუცქერიძისა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

სადარაჯო კატერის საზენიტო მეტყვიაფორქვევე ტიხონ რიაბცოვი ფსკოველი იყო. მისი მშობლიური სოფელი გერმანელებმა დაიკავეს. დედა, როგორც მოსალოდნელი იყო, გარდაცვლილიყო და ამიტომაც, როცა ტიხონს დაჩეჩქვილი მარჯვენა მოსჭრეს, წასასვლელი გზა აღარსად ჰქონდა. ის პეტერგოფთან დაიჭრა.

ტიხონი დიდხანს იწვა ჰოსპიტალში კამენნი ოსტროვზე. დამლამობით ხშირად ეღვიძებოდა, ფრთხილად გადასწევდა ხოლმე ფარდას—ტიხონის საწოლი ფანჯარასთან იდგა,—გასცქეროდა მკრთალსა და თოვლიან ღამეს და ყურს უგდებდა. სიჩუმე ჩამოწოლილიყო დაცარიელებულ ქალაქში, ისე გაწოლილიყო ცივ მიწაზე, გეგონებოდათ, ყველა სულდგმულს სამუდამოდ ჩასძინებია და ომიც აღარ არისო. მაგრამ უეცრად შეჭირბულული ხეები ყვითლად განათდებოდა და, თითქოს რკინას ჩაქუჩი წაუშინესო, ატკაცუნდებოდნენ საზენიტო ქვემეხები. მაშინ ტიხონი ფარდას ისევ გაასწორებდა და ამოიოხრებდა:


— ურტყამენ ბიჭები, მე კი...

გაყუჩდებოდა, დიდხანს იწვა თვალდახუჭული და ისე ძალუმად აჭერდა კბილს კბილზე, რომ ყვები სტკიოდა.

— ...მე კი აქ ბეჭემოთივით გავკვიმულვარ!

ჭრილობა ნელა ხორცდებოდა. ტიხონი ვოლოგდაში გადაიყვანეს ლადოვის ტბის სველი ყინულების გავლით. ცაში სხვადასხვა ხმაზე გუგუნებდნენ გამანადგურებლები, ყინულის გზას იცავდნენ. ვოლოგდიდან ტიხონი ბიისკვი დაასახლეს, ციმბირის ყველაზე მიყრუებულ კუთხეში.

ზაფხულში ტიხონი ბიისკვის ჰოსპიტლიდან გამოსწერეს და სამკურნალო წყლით განთქმულ ალტაის მთების პატარა კურორტ ბელოკურინაში დაიწყო მუშაობა დარაჯად დაუმთავრებელ კაშხალთან, რომელიც პატარა მთის მდინარე ბეზიმინკაზე შენდებოდა ბელოკურიხიდან სამი კილომეტრის დაშორებით. ტიხონი პატარა ქოხში ცხოვრობდა, რომელიც მთებს შეეფარებინა და ზედ მდინარის პირად მიეგდო. ბეზიმინკა ანკარა ჩანჩქერებით გადმოსჩქეფდა, ბუტბუტებდა ქვებს შუა, ალბათ ბრაზობდა, ასე ვიწროდ რად ვარო. მდინარეზე ისე გადმოკონწიალებულიყო ათასგვარი ბუჩქები, ეო-



ლო, მაყვალი, ქაცვი, რომ ჰა და ჰა, დიდი გაჭირვებით გააღწევდა ქაცი წყლამდე. სამ-ოთხ დღეში ერთხელ ტიხონი ბელოკუტიხაში მიდიოდა პურის, მარლის და ბურღულის საყიდლად, მთელი დანარჩენი დრო კაშხალთან იჯდა, ფაფას ხარშავდა და კითხულობდა გარეკან-შემოცვეთილ საინტერესო წიგნს — „განწირულნი“, რომელიც სამედიცინო დას დიდი თხოვნით გამოართვა.

დრო მიიზღაზნებოდა. ირგვლივ ძე სულიერი არ ჭანებდა. მთელი ზაფხული ისე გავიდა, რომ მხოლოდ ერთხელ ჩაუარა ქოხს ჭალარა მონადირემ, მაგრამ ტიხონმა გამოლაპარაკება ვერც კი მოახერხა, მოხუცი სულ მთლად გამოყრუებული და თანაც რალაცნაირი საეჭვო შესახედაობისა იყო და, თვალს რომ მოეფარა, ტიხონმა ბრაზით კიდევ გადააფურთხა.

მერე შემოდგომა მობრძანდა და დამკვიდრდა. ჯერ არ ენახა ტიხონს ასეთი შემოდგომა: ნიავეც კი არ იძვროდა, მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის ნატამალი არა ჩანდა. ტყეები მზეზე ისე ჩახჩახებდნენ, გეგონებოდათ, ხელმარჯვე ციმბირელ მკედლებს ყოველი ტოტი, ფოთოლი და ღეროც კი ოქროსაგან გამოუჭედიათო. ირგვლივ ოქროსფერი ციყვები ხტოდნენ. წითელი მოცვის ფოთლებზე ნამი შუადღემდე არ შრებოდა, ხავსმოდებულ რიყის ქვებზე ისეთი წითელი ყვავილები ჰყვავდა, თითქოს ამ ხავსებში აქა-იქ პატარა კოცონები დაუნთითათო. ლამაზობით, ისევე, როგორც კამენნი ოსტროვზე. ტიხონს ხშირად ეღვიძებოდა, იცქირებოდა დაბალ ფანჯარაში, რომელშიც ყოველთვის ერთი და იგივე, მთელ ცაზე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი კიაფობდა.

სექტემბრის ბოლოს, დილაობით, ბალახს უკვე ხრახბრუში გაუღიოდა რთვლისაგან. ტიხონი ზამთრისათვის შეშის დამზადებას შეუდგა. ძალზე უჭირდა ცალი ხელით ხერხვა და ჩეხვა. ტიხონი წვალობდა, ქანცი ელეოდა. ერთხელ, მოთმინებადაკარგულმა გადაადგო ნაჯახი და, ცოტას გაწყდა, არ აღრიალდა ამოდენა ვაჟკაცი. ჯანდაბასაც წაუღია ეს შეშა!

ცულმა ჭახანი მოილო ქვებზე და, იქვე ბუჩქებში, კაშხალს გადაღმა რალაცამ გაიშრიალა, ღორღი ჩამოცვივდა.

ტიხონი დააკვირდა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია, მხოლოდ არყის ხემ შეარხია ტოტები და ხმელი ფოთლები ჩამოყარა.

„აღბათ, ნადირია“.—გაიფიქრა ტიხონმა.

მეორე დღით, საღლაც მდინარის აყოლებით, ცულის ყრუ ხმა გაისმა. იქნებ ცული არც იყო და კოდალა აკაკუნებდა? ეს იყო და ეს. ტიხონს გაეღიმა—ესიამოვნა, რომ შორიახლოს ჭრელი მოკეთე გამოუჩინდა, აკაკუნებს, შრომობს, ჩიჩქნის ხის ქერქიდან ჭიანჭველებს.

დღისით მდინარემ კაშხალთან წვრილად დაჭრილი არყის შეშა ჩამოატარა. ტიხონი იჭერდა შეშას და ნაპირზე აწყობდა. მდინარეს კი მოჰქონდა და მოჰქონდა სულ ახალ-ახალი მორები, არ იქნა და აღარ გათავდა... ვინ იცის, საიდან მოჰქონდა ბეზიმანიკას ეს შეშა.

სალამოს შეშის ცურვა შეწყდა, მეორე დღით კი ისევ განახლდა. კოდალაც აღარ ათავებდა, აკაკუნებდა ვის ხეზე. ტიხონი აგროვებდა შეშას და მდინარისა „ერთ ძალს გავიჩენ,—ფიქრობდა ის,—შარისას დავარქმევ, ავანთებ ღუმელს, მივუჯდები და ცეცხლის შუქზე წიგნს ვიკითხავ. ასე გავატარებ ზამთარს“.

მეორე დღეს, საღამოთი, კაშხალთან ისევ რალაცამ გაიშრიალა. ტიხონმა ერთი ისკუბა, ბუჩქებში გაიჩინდა და ორი წითელყელსახვევიანი ბიჭი დაინახა. ისინი ბარდებში მიიკვლევდნენ გზას ქვევით, მდინარისაკენ, თან ხერხი და ცული მიჰქონდათ. ერთი მათგანი გამხდარი და ფერმკთალი იყო, მეორე—ქერა და ასევე ხმელ-ხმელი, სულ მთლად დაკაწრულიყო მაყვლის ბუჩქებში.

— შესდექ!—დაბალი ხმით შესძახა ტიხონმა და ზეზე წამოდგა.

ბიჭები შედგნენ. ხერხი ხელიდან გაუვარდათ. უნდოდათ გაქცეულიყვნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს და ახლა წარბებქვემოდან შეჰყურებდნენ ტიხონს.

ტიხონი მიუახლოვდა მათ და მაშინ ყველაფერი გაირკვა.

ბიჭებმა უამბეს, რომ ომის დაწყებამდე ლენინგრადის მახლობლად ცხოვრობდნენ პიონერულ ბანაკში. ომი რომ დაიწყო, იმ ბანაკის ყველა პიონერი, რომელთაც მშობლები არა ჰყავდათ, ვოლგისკენ წაიყვანეს. იქიდან კი ბელოკუტიხაში გადმოგზავნეს.

პიონერები თურმე მდინარეზე ჩანჩქერთან თევზის საჭერად დადიოდნენ და რამდენიმე დღე უთვალთვალელებდნენ როგორც მზვერავეები, როგორ ცოდვილობდა ტიხონი დაჩეხვაზე და გადაწყვიტეს დახმარებოდნენ. მაღლა, მდინარის პირას ძველ შეშას წააწყდნენ, მაყვლის ბარდებში გახლართულს, და დაიწყეს მისი წვრილად ჩეხვა და ტიხონის ქოხისაკენ დაცურება.

ამბავს ქერა ბიჭი ჰყვებოდა, ფერმკრთალი კი ხმას არ იღებდა და იღიმებოდა მხოლოდ, მაგრამ ტიხონი მიხვდა, რომ სწორედ ეს ბიჭი იყო ყველაფრის მოთავე. მერე რა ვუყოთ, რომ ასე ჩუმად იდგა.

ტიხონმა საცალფებო ბოგირამდე მიაცილა ბიჭები, თან გამოჰკითხა, როგორ დაკარგეს მშობლები. მან გაიგო, რომ ფერმკრთალი ბიჭი ესპანელი იყო და მიგუელი ერქვა. ტიხონმა თავი გააქნია: როგორ ააფორიაქა და აურ-დაურია ხალხი ამ ომმა! ადგა და იმ ფერმკრთალ ბიჭს იქვე მიტია დაარქვა.

იმ დღიდან მოკიდებული დამეგობრდნენ ის ფერმკრთალი ბიჭი და ტიხონი. ის სულ უფრო და უფრო ხშირად დადიოდა ტიხონთან, მოჰქონდა პური, მასთან ერთად აგროვებდა და ახმობდა ძახველს და უსმენდა ტიხონის მონაყოლ ბალტიის ფლოტის ამბებს.

თავისი ამბის მოყოლა ბიჭს უჭირდა და ნელა ლაპარაკობდა, ეძებდა რუსულ სიტყვებს. მაღრიდში ფაშისტებს მისთვის მოხუცი მამა მოეკლათ, მარტოდმარტო დარჩენილიყო და ფეხით საფრანგეთის გზას დასდგომოდა. მაგრამ იქამდე ვერ მიეღწია. გზაში ვილაც

ამერიკელს შეეკედლებინა, მანქანაში ჩაესვა და ზღვის-პირა ქალაქში წაეყვანა, მერე გემით ინგლისში გაემგზავრებინა, საიდანაც საბჭოთა საელჩოს ის ლენინგრადში გადმოეგზავნა.

დადგა ზამთარი. ხეობა თოვლმა დაფარა. მარტო პატარა მდინარე ანჩხლობდა, რის ვაივავალახით თბრიდა თოვლში გამოქვაბულებს და ქვებზე ყინულების წკრილით მიედინებოდა.

ბიჭი იშვიათი სტუმარი გახდა. ერთხელ იყო მხო-



ლოდ, რომ ორი დღით დარჩა ტიხონთან ქობში; ისიც იმიტომ, რომ ქარბუქი ატყდა, ათასი თვემდე არ ჩაივლია ღრიალებდა მთები და თოვლი ჩანჩქერებივით მოქუნიდა კლდეებზე.

ტიხონმა ღუმელი გაახურა. თვითონაც მიუჯდა და ბიჭუნას კატორღელი ვოლგელების ამბავს უკითხავდა. კითხვა რომ დაამთავრა, თქვა:

— ომი დამთავრდება, ვიტია, და ქვეყნად ბევრი სიხარული და ზეიმი დამკვიდრდება. ჩვენც კეთილ ცხოვრებას დავიწყებთ! შინ დავბრუნდებით, ლენინგრადში. შენ ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდები, მე კი იქვე შენს შორიახლოს ვიარსებებ, მამის როლში. ოლონდ, იცოდე, ნუ მერიდები.

ბიჭს ნაღვლიანად ეღიმებოდა და თვალს არ ამოკრებდა ცეცხლს. ტიხონმა თავისი მიძიმე ხელი თავზე დაადო ბავშვს და დაუმატა:

— ჩვენთან ობლობას შენ არ იგრძნობ. ჩვენი ხალხი უბრალოა, ზოგჯერ უხეშიც, მაგრამ გულითადი. ეჭვი ნუ გეპარება, ვიტია.

ბიჭმა თავი აიღო და მორიდებით შეხედა ტიხონის კუშტ სახეს.

— გმადლობთ, — უთხრა მან, — მე ვიცი, რომ ასეა.

გაზაფხულის პირს მიგუეღმა ტიხონს უთხრა, ჩვენი ბანაკი ორ კვირაში მოსკოვში დაბრუნებას აპირებსო. ტიხონს ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს კი პირი გაიპარსა, ბუშლატი ჩაიცვა, მეზღვაურის ქული დაიხურა და ბელოკურიხისაკენ გაემართა ბიონერთა ბანაკის უფროსთან, მაღალ-მაღალ, მუდამ მომღიმარ, ჭუტალათვალეზიან კაცთან. დარცხვენილი, აჭარბებული ტიხონი თავის ფეხსაცმელებს დასჩერებოდა და თან ისე უხსნიდა მაღალ კაცს: რადგან მიგუელი ობოლია და ქვეყნად ძე სულიერი არ გააჩნია, მე მინდა ვიშვილოო.

— არა, — ღიმილით იუარა მაღალმა კაცმა, — ჩვენთან ურჩევნია. დამიჯერეთ, რომ ასე სჯობია, ამხანაგო რიაბცოვ. როგორც ჩანს, კარგად არ ჩაფიქრებხართ ამ საქმეს. აი, ერთი-ორი წლის შემდეგ კი ვნახოთ, ორ წელიწადში გთხოვთ მოგვაკითხოთ.

— უფრო ადრე არ იქნება? — ყრუდ ჩაილაპარაკა ტიხონმა.

— უფრო ადრე იყოს, — გაიცინა მაღალმა კაცმა.

— მაპატიეთ! — ტიხონი წამოდგა და გავიდა. გზაში კარს გამოედო.

გამგზავრების წინ ბიჭი გამოსამშვიდობებლად მივიდა ტიხონთან. ტიხონმა მოსახვევშივე შენიშნა იგი და სასწრაფოდ ტყეს მიაშურა, ქვას ამოეთარა; პაპიროსს შეუვდა, თან ბიჭის ძახილი ესმოდა.

— რა საქირთა, — ჩურჩულებდა თავისთვის ტიხონი, — ქვეყანა არ დაინგრევა, სულაც არ არის აუცილებელი დამშვიდობება!



მიუგული დანალგლიანებული და შემფოთებული გაბრუნდა უკან:

ბანაკი აიყარა. ამის შემდეგ ტიხონი დიდხანს ვერ ჩაიღოდა ბელოკუჩინაში. წვერი მოუშვა, ღამღამობით შფოთავდა, სიძულვილით შეჭყურებდა მინდვრის ყვავილებით აჭრელებულ მთებს. ამ მთების შემხედვარე მოხუცებსაც არ შეეძლოთ რამე არ წამოცდნოდათ სამოთხისა და კეთილსურნელოვანი ჰაერის შესახებ. ტიხონისათვის კი ამ ქვეყნად ამ კურთხეულ მთებზე უფრო პირქუში ადგილი არ მოიძებნებოდა.

„არავისთვის საჭირო არა ვარ“, — ფიქრობდა ტიხონი და ამის შეგნება უფრო უმწარებდა სიცოცხლეს, ვიდრე აქამდე გადატანილი უბედურებანი.

გაზაფხული რომ მიიწურა, ტიხონმა საბოლოო ანგარიში მოითხოვა. ღამით მეზღვაურის ჩანთაში რაღაც რაღაცეები ჩაილაგა, ცოტა საგზალი წილო და ბიისკი-საკენ გაეშურა, რკინიგზისაკენ. ბანაკის მისამართი ტიხონს ბუშლატის სარჩულში ჰქონდა ჩაქვრებული. ნელა მიაბიჯებდა სტვენით.

მდინარე კატუნის პირას მთელი ორი საათი ელოდა ბორანს. ახალგაზრდა ენარატრატა ქალებს გაჯიუტებული ცხენები მიჰყავდათ ბორანისაკენ. მდინარეში დიდრონი თევზები — ნელმები ფართხალებდნენ. ერთი დედაბერი, რომელსაც მარცხენა ფეხზე ნაცრისფერი ჩექმა ეცვა, მარჯვენაზე კი შავი, დიდხანს ათვალიერებდა ტიხონს — ეცოდებოდა. რა ლამაზი ჭაბუკია და უხელო კი არისო. ბოლოს გაბედა და ჰკითხა:

— საით გაგიწევია, ჩემო კარგო, ზურგჩანთამოკიდებულსა და უხელოს? დადიხარ, იცინი, ვეცხლივითა და არ იცი, რა არის.

— შეილთან მივდივარ, — მიუგო ტიხონმა, — გაიგე, დედი, ვაჟი შეილთან მივდივარ — მეთქი!

— ცოლი სადღა გყავს? მოგიკვდა?

— ცოლი არც არასოდეს მყოლია, — გაეღიმა ტიხონს.

— ნუ დამცინი მოხუცს! — იწყინა ქალმა. — მეც ორი შეილი მყავს ფრონტზე.

— როლი დაგცინი, — ტიხონმა მოხუცს შეხედა. — აყვანილი მყავს ვაჟი შეილი და... იმასთან მივდივარ. იმის მახლობლად უნდა ვიცხოვრო.

— აყვანილი გყავს? — გაეღიმა ქალს. — აგრე გეთქვა თავიდანვე. კარგი ბიჭია?

— ძალიან კარგია, — მიუგო ტიხონმა, — სხვისი რა ვიცი და, ჩემთვის კი იმაზე კარგი არც არსებობს ქვეყანაზე.

— ვხედავ, დიდი სიხარული ჩაგბუდებია გულში, — უთხრა ქალმა, — უხელო ხარ და ასეთი დიდი სიხარული კი გაქვს.

— ნუ გედარდება, დედი. საჩემო საქმეც გამოჩნდება! — უთხრა ტიხონმა და ბორანს მიაშურა.

ბორანი ჭრიალით დაიძრა ადგილიდან და სწორედ იმ დროს მზემ ისე მიაშუქა წყალს, რომ ტიხონმა თვალები მოჭუტა. ნახვამდის, ციმბირის მთებო!

თარგმნა ვ. ძიძიგურმა



ორმოცდაათი არაბის გამოცდვა

ჯენტლმენმა, რომელმაც აფრიკაში იმოგზაურა, თავის მეგობრებს უამბო, რომ მან და მისმა მოსამსახურემ ორმოცდაათი არაბის გამოქცევა მოაწყვეს.

ყველა განცვიფრებული კითხულობდა, როგორ მოახერხა ორმა კაცმა ამის გაკეთება.

— გასაოცარი აქ არაფერია, — თქვა ჯენტლმენმა, — ჩვენ გამოვრბოდით და ისინიც მოგვდევდნენ.

მინიშვნელოვანი შესწორება

მასწავლებელი: — ჯიმ, რად მოსულხარ სკოლაში პირდაუბანელი? მე შემოძლია გამოვიცნო რა ჰქამე ამ დილით.

ჯიმ: — რა გჰამე, მასწავლებლო?

მასწავლებელი: კვერცხი.

ჯიმ: ვერ გამოიცანით, მასწავლებელო! კვერცხი დღეს დილით კი არა, გუშინ გეახელით.

შაქარლამა

დიკმა დედას პენი სთხოვა.

— ის ფული რა უყავი, გუშინ რომ მოგეცე? — ჰკითხა დედამ.

— ის ფული საწყალ მოხუც ქალს მივეცი.

— შენ ნამდვილად კარგი ბიჭი ხარ, დიკ! აი, შენ პენი, მაგრამ რით მიიპყრო მაინც შენი ყურადღება იმ მოხუცმა?

— შაქარლამით. ის შაქარლამას ჰყიდდა, დედიკო.

აბსტრაქტული სახელი

— ჯენ, როგორ სახელს ეწოდება აბსტრაქტული სახელი? — ჰკითხა მასწავლებელმა გოგონას.

— ვერ გეტყვით, ქალბატონო.

— არ იცით განა? მაშ, დაიმახსოვრეთ: ეს არის სახელი რაიმესი, რაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, მაგრამ რასაც არ შეგიძლიათ ხელით შეეხოთ. აბა, დამისახელებეთ მაგალითი!

— გავარგარებული აქანდაზი. — მიუგო გოგონამ.

გამოცდა

მოსწავლეს გამოცდაზე ჰკითხეს: რა გავლენას ახდენს საგნებზე სითბო და სიცივე?

მან მიუგო:

— სითბო აფართოვებს სხეულებს, სიცივე კი — პირიქით.

— კეთილი. — უთხრა მასწავლებელმა. — შეგიძლიათ დამისახელოთ მაგალითი?

— დიას, სერ! ზაფხულის სიცხისაგან დღეები ფართოვდება და გრძელდება, ხოლო ზამთრის სიცივისაგან იკუმშება და მოკლდება.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ სულხანიშვილმა



ავადმყოფებმა წიწვებისაგან ნაყენი დაამზადეს და შესვეს... უჩვეულო ამბავი მოხდა: რამდენიმე დღის შემდეგ ყველა გამოჯანმრთელდა. „სწორედ ეს ყოფილა სიკოცხლის ხე!“ — სიხარულით წამოიძახა ჯაკ კარტემ.

1709 წელს, რუსე-შვეციის ომის დროს, შვეციის არმიის ყველა მეომარი დაავადდა ამ სნეულებით. არბენაურის მითითებით, საკვებ რაციონში შეტანილი იქნა წიწვების ნაყენი, რის წყალობითაც ყველა მეომარი გამოჯანმრთელდა.

1919 წელს ცინგის, ანუ სკორბუტისა და სურავანდის სახელწოდებით ცნობილი ამ სნეულების საწინააღმდეგო საშუალებას ეწოდა ვიტამინი „C“.

ცნობილი რუსი სწავლული, აკადემიკოსი პეტრე-სიმონა პალასი 1785 წელს თავის წიგნში — „რუსეთის იმპერიის მცენარეთა აღწერა“ — წერდა: ახალგაზრდა ფიჭვისა და კედრის ტოტების წვეროებზე შეგროვილი წიწვები დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ციმბირელ მრეწველთა და მეზღვაურთა შორის, როგორც ცინგის საწინააღმდეგო საშუალება — იგი რუსეთიდან საზღვარგარეთ დიდი რაოდენობით გააქვთო.

მართალია, დღეს წიწვების ნაყენის გამოყენება ადამიანის მკურნალობაში აუცილებელი აღარაა, რადგან მზადდება მრავალი შედეგიანი ვიტამინური პრეპარატი, მაგრამ წიწვების ნაყენის გამოყენება მეცხოველეობაში დიდად სასარგებლოა სახალხო მეურნეობისათვის. იგი აღიღებს შინაური პირუტყვის პროდუქტიულობას, ვიტამინებით ამდიდრებს ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა: რძე, კარაქი, ერბო, კვერცხი...

ლატვიის ზოოტექნიკისა და ზოოპიგიენის ინსტიტუტებმა დამტკიცეს რომ, თუ საზამთრო-ბაგურთა კვების პერიოდში ცხენის, ცხვრის, თხის, კურდღლის საკვებს დაემა-

ტებთ წიწვებს, მაშინ მათ მაღა ემატებათ და ჩქარა იზრდებიან.

საბჭოთა კავშირის ტყეებში ყოველწლიურად, წიწვებთან ერთად, იღებება 4.000.000 კილოგრამი „ცე“ ვიტამინი. არ უნდა დაგუშვათ, ეს უაღრესად საჭიროა „მწვანე ოქრო“ უსარგებლოდ იკარგებოდეს.

არ ვიცი, თანამედროვე ადამიანი რა იქნებოდა საწერი ქალაქის გარეშე... ძვირფას ქალაქს გვაძლევს სვანეთის წიწვნარები.

ერთი კუბური მეტრი ფიჭვის მერქნისაგან ქიმიკოსები 200 კილოგრამ ცელულოზს და იმდენ მეტრ ქსოვილს ლებულობენ, რასაც ჭირდება 350.000 ცალი აბრეშუმის პარკი, ან 30 სრულწლოვანი ცხვრის წლიური ნაპარსი მატყლი, ან კიდევ, ნახევარ ჰექტარზე ნათესა ბამბის მოსავალი.

... ფიჭვის ფისისაგან ამზადებენ სკიპიდარსა და კანიფოლს. მერქანი გამოიყენება საავიჯო, საღურგლო და სამშენებლო საქმეში, მცენარეები კი — ბაღებისა და პარკების გამშენიერებისათვის:

წიწვიან მცენარეთა მიერ გამოყოფილი მქროლადი ნივთიერებანი აჯანსაღებენ ადამიანს.

წიწვიან მცენარეებში მოიპოვება მთრიმლავე ნივთიერება, რომლითაც ტყავს გამოქნიან.

გამოიყენოთ წიწვიან მცენარეთა მიერ ნათავაზევი სიკეთენი გონიერად. ერგათ, ვზარდოთ ბუნების ეს საუკეთესო ქმნილებანი; მოვიგონოთ ვაჟა, მით უმეტეს დღეს, როდესაც შეშისათვის ჯანსაღი ხის მოჭრა აუცილებელი არ არის — გვაქვს ელდენი, გაზი, ქვანახშირი...

„მოდით, ნუ ვშვრებით ცოდვას; ნუ მოვჭრით ხესა, დაგჯერდეთ ჯოყრებს, ხმელ წიწკრებს ცოტასა“.

პ. ნაშასაძე


მუხითა და წიფლით, წყავითა და წაბლით, მთელიოთი და პანტიოთ, მოცვითა და შინდით, ათასი სახეობის ხითა და ბუჩქით დაბურული, ფრინველთა გალობითა და ნაკადულების ჩუხჩუხით ანამურებული — თავს გვაყვარებს და თავისკენ გვიწვევს ტყე. ტყე გულუხვი მასპინძელია ხილკენკრითა და სოკოთი... ტყისკენ მიგვიზარია, ტყეში ვეპატიებით ქალაქიდან სოფლად ჩასულ მეგობრებს. ტყე კაცობრიობის უდიდესი სიმდიდრეა!

მაგრამ ცალკე საუბრის ღირსია — წიწვიანი ტყეები.

* * *

ოთხას სამოცდახუთი წლის წინათ, 1535 წელს, ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა ჯაკ კარტემ მეორედ იმოგზაურა ნიუფაუნდლენდში და თავისი ექსპედიციის ას ათი კაციდან ასი კაცი ცინგით დაუსნეულდა.

წამალი არსად იყო... სიკვდილის აჩრდილი ფეხდაფეხ სდევდა ექსპედიციას. მუხლზე დაეცნენ, ჯვარზე გამოსახულ ქრისტეს შეევედრნენ სიკოცხლის შენარჩუნებას. ქრისტემ ვერაფერი უშველა — სნეულთა დახმარება შეძლო კეთილმა ინდოელმა. წიწვიან მცენარეთა ტოტები მიაწოდა და მათი გამოყენებაც აუხსნა.



მისტერ სმიტი

პანკა

საბჭოთაო
საზოგადოებრივი

აკაკი გელოვანი

ნახ. თ. სამსონაძისა

• ზ ლ ა კ ა რ ი

„მისტერ სმიტი“—ასე იცნობდა მთელი ნიგერია. ბედნიერი კაცი იყო მისტერ სმიტი. ღრუბლებს უსწორდებოდა მისი დიდება, თუმცა თვითონ სიმაღლით არ აღემატებოდა პატარა აფრიკულ ბუჩქს, რომლის სახელია „ცოტა მოთმინე“.

„ცოტა მოთმინე“ არ იყო მისტერ სმიტის დევიზი. ამ პატარა ადამიანს საოცრად დიდი გული ჰქონდა. უბრალო კაპიტანი გახლდათ, „წამოწყებას“ განაგებდა, მონებით ვაჭრობდა და მთელი მისი მოღვაწეობა იმით ამოიწურებოდა, რომ ლურჯ ზღვაზე თეთრ მეზღვაურებს აწიოკებდა, შავ ხმელეთზე კი—ბედშავ ზანგებს.

ასეთი იყო მისტერ სმიტი, ტანად ჩია, გულით ბუმბერაზი, ფიცხი და დაუნდობელი თეთრი ბატონი. არავინ ზღუდავდა სმიტის მოქმედებას, სამაგიეროდ, თვითონ ზღუდავდა ყველას. ავიწროვებდა მოქიშპეებს, დასცინოდა ხალხებს, დანაგარლობდა კონტინენტიდან კონტინენტამდე, ხომალდი იყო მისი აკვანი, ბორკილთა ეღრუნი—მისი მუსიკა და ზედმიწევნით ფლობდა „შავი ხორცის“ ყვითელ ლითონად ქცევის ხელოვნებას.

იმ დღეს კაპიტანი სმიტი ბენინის ერთ ნასოფლარში ისვენებდა. აფრიკის ძველი კულტურის ამ აკვანში, „ნიგერიის სამეფო საზოგადოების“ გულში, ახლა სრული სიმშვიდე სუფევდა. ბარბაროსი ბენინელები ვეღარ ზედავდნენ ინგლისის საელჩოს დარბევას და ახლა მძიმე ბორკილებს მიაჩხარუნებდნენ ხომალდისაკენ, რომელიც თეთრ კუბოსავით ირწეოდა ოკეანის ტალღებში.

მისტერ სმიტიც ტკბებოდა თავისი წარმატებით. ორმოცი ზანგი იყიდა ჩალის ფასად. იწვა მხარეთმცოდნე მწვანით დაფარულ ქოხში, ჩიბუხს აბოლებდა და ფიქრობდა...

გარეთ ხმაური ატყდა.

ქოხის კარებში გამოჩნდა ორი შავი ბუმბერაზი. ფოლადივით მკვრივსა და ნახშირივით მოზიმშიმე მხრებზე დაედოთ თოვლივით ქათქათა ძვალი, ხუთი კაცის ტვირთი, და ისე მსუბუქად მოჰქონდათ, თითქოს სპილოს ეშვი კი არა, ყველის ნაჭერი ყოფილიყო. კარს რამ გაუსწორდნენ, მძლავრი ხელები ბოლოებში ჩაჰკიდეს და აუჩქარებლად ჩამოიღეს.

— ყოჩაღ, ჯონ და ბექ!—შესძახა პატარა სმიტმა

და ლილიპუტების მეფესავით აეტუზა წინ შავ გულივერებს.

თქვა ეს და მაშინვე შუბლი შეიკრა, თითქოს დანა ერთადერთი მოწონების სიტყვა, რაც ოდესმე გაუმეტებია თავისი მორჩილი მოსამსახურეებისათვის. საათს დახედა და მკაცრად იკითხა:

— რატომ დააგვიანეთ?

ჯონმა ჯექს გადახედა.

— ომომბოს ვეძებდით, მისტერ,—თქვა ჯექმა, რაკი პასუხის გაცემა მას მიანდეს.

— ომომბო ვინლა?

— გუშინ რომ სამი ზანგი იყიდეთ, ერთ იმათგანს ქვია ომომბო, მისტერ.

— მერე, სად არის?

— არ ვიცი, მისტერ, მას მოხუცი დედა ჰყავს დიდი მდინარის იქით.

— აჰა, მესმის, შეგეცოდათ და ბებერი ნიანგის მოსაგლეხად გაუშვიეთ? მე თქვენ გიჩვენებთ, შავო სალამანდრებო, როგორ უნდა გაუფრთხილდეთ კაპიტან სმიტის ქონებას! ჯექ, დაწეი!

ჯექი დაწვა.

— ჯონ, ცოცხლად! ათი მათრახი ამ დოყლაპიას! მორჩილი პირუტყვივით თავდახრილი მივიდა ჯონი ბედის მოზიარესთან და შეუდგა მძიმე მოგალეობის შესრულებას.

სმიტი ითვლიდა:

— ორი... ხუთი... ცხრა... კმარა ჯექ, ადგილი!

ჯექი ადგა.

— ჯონ, დაიკავე მისი ადგილი!

ჯონი მიწაზე დაწვა.

— ჯექ, აიღე მათრახი და დაჰკარი. რას გაშტერდი?! აბა, ცოცხლად! იმდენივე, რამდენიც შენ დაგკრა, რომ ნაწყენი არ დარჩეს!

და ჯექმა მათრახი ასწია, საბრალოებს ციკის ლომებზევით მხოლოდ მორჩილება შეეძლოთ.

ზანგის ზურგს რიტმულად ეხებოდა ბეჭემოთის ტყავის მძიმე მათრახი, თითქოს დასამუშავებელი ყოფილიყო. ჯონი ყრუდ გმინავდა. როცა მათრახი მის მხრებზე

მეშვიდედ დაეშვა, კაპიტანი სრულიად მოღვა და მხიარულად შესძახა:

— კმარა! ადექი, ჯონ! ახლა კი წამოდით ომომბოს შესაპრობად. რაც დაგაკლდათ, მიიღებთ მაშინ, როცა დადებრუნდებით, თუ გაქცევულს ვერ შეიპყრობთ.

შავი, ნაცემი გოლიათები მოჩილად მიჰყვნენ თეთრ ბატონს.

გზა მძიმე იყო.

უჩინარი სიკვდილი დაბორიანობდა ჯუნგლებში.

— ხრრრრ-აუ!—იღრინებოდა ლეობარდი.

— გა-ვა!— მოსთქვამდა ნიანგი.

— სსს—აწყნარებდა მხეცებს ასპიტი. — სსს! ეს მისტერ სმიტია! თვით მეფე ბოას არ შეუძლია მისი გაგულვა.

მართლაც, ბედი სწყალობდა მისტერ სმიტს. ქვის გული ჰქონდა ამ კაცუნას და რკინის ნერვები, ხოლო მისი ტყვიაც ისევე შეუცდომელი იყო, როგორც მისი ალლო.

— სერ, გზაზე ნიანგი წევს,—გაისმა ზანგის ხმა.

— ვხედავ, ჯექ! ვიდრე შენ შენიშნავდი, მე მიზანში ამოვიღე,—და სმიტის ტყვია ხუთმეტრიანი ხვითქის თვალში ჩაჯდა.

ნიანგი ისე შეხტა, თითქოს ფოლადის ზამბარაზე წოლილიყო, დაბლა დაეშვა და ისევ გაირინდა. ჰაერში მუშკის აუტანელი სუნი დატრიალდა, როგორც ერთადერთი უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ნიანგი თავშია დაჭრილი.

სმიტი ქვეწარმავალს მიუახლოვდა.

— ფრთხილად, სერ!—გაისმა ჯონის ქუხილი: ჯონი იშვიათად იღებდა ხმას, მაგრამ როცა ხმას იღებდა, გეგონებოდათ, მეხი ქუხსო, ამიტომაც თავის ქვეყანაში „რუანდა-ურუნდის“ ეძახდნენ, რაც „მეხის ქუხილს“ ნიშ-



ნავს. — ფრთხილად, სერ! ნიანგი სუნთქავს ნიანგი ცბიერია. უფრთხილდი მის კუდს.

სმიტი შეჩერდა. სწორედ იმავე წამს ნიანგი ისევ შეხტა შეჯავშნული კუდი გაღერის ნიჩაბივით მოიქნია და კაპიტნის წინ მდგარი ეკლიანი ბუჩქი ისე გადასხიბა, თითქოს ბასრი ხმალი დაეკრას, თვითონ კი მდინარეს მიაშურა. სმიტი გადარჩა.

ნიანგი გზას ლაწანით მიიკვლევდა. ხრეში და ტოტი ისე ცვივოდა, თითქოს ტყეში ზღაპრული ურჩხული იქლავებოდა.

უტბად ისევ გაისმა ჯონის მავედრებელი ხმა:

— ესროლეთ მისტერ! გვედრებით! მე მუშკი მჭირდება. დიდი ხანია ცოლი მთხოვს. მუშკი წამალია...

მაგრამ სმიტს არ სჭირდებოდა არც ჯონის ვედრება, არც მისი ცოლის დარდი ჰქონდა. უბრალოდ, არ სჩვეოდა ლტოლვილი მსხვერპლის გაშვება, ამიტომ სამჯერ ზედიზედ ისროლა. მესამე გასროლაზე ნიანგი ისევ შეხტა და დაიგრიხა. დიდხანს იკრუნჩხებოდა გიგანტის ჯავშნიანი სხეული. ბოლოს მიუყურდა.

— ახლა კი ვერას გვავენებს, სერ! ნიანგის კისრის ძარღვი აღარ ფეთქავს, ნიანგი მკვდარია.

ჯექისა და ჯონის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დიდი ხნის ნატერის შემდეგ მათ მიიღეს ნიანგის კბილებიც, მუშკიცა და ამბარიც—განძი, რითაც ნიგერია-სა და ეგვიპტეში შეიძლებოდა რამდენიმე ხარის შეძენა. ნადავლის გაყოფაში ვერ შეთანხმდნენ. მაგრამ ნიანგის სუნი აუტანელი იყო, სმიტი ჩქარობდა.

მაღე ტყე დასრულდა. გზა ხრიოკ ველზე გადიოდა. კიდევ ორიოდე მილიც და მიაღწევდნენ იმ სოფელს, საიდანაც შეიძლებოდა დიდ მდინარეზე გადასვლა. იქ ინგლისელთა სიმაგრე იყო და შებოროკილი მონები ფიქრობდნენ იმ დღეზე, როცა ხომალდში ჩასხდებოდნენ და ჯაჭვების საზეიმო ჩხარუნით ახალ ქვეყანაში გაემგზავრებოდნენ.

დაღლილი სმიტი გაშლილ ველზე იჯდა და აგრეთვე ფიქრობდა იმ დოლარებზე, რომელთაც უქადდა ეს რეისი. მისი ყურადღება მიიპყრო მსახურების დავამ. იდგნენ გოლიათები მრუჯავი მზის ქვეშ და ცხარედ ღაღავებდნენ, რადგან ჯერ კიდევ ვერ გაეყოთ ნიანგის მუშკი.

კამათი ხელჩართული ბრძოლით დამთავრდა. შთვრალი დევებივით ეკვეთა ერთმანეთს ორი კუნთმაგარი ზანგი. მათი ორთაბრძოლა იყო საშინელი, დაუნდობელი. მაგრამ უეშმაკო და რაინდული. კამეჩებივით ქშინავდნენ, უმთვარო ღამეში მოელვარე ნალვერდლებს ჰგავდნენ შავი ორბიტებიდან ნახევრად ამოვარდნილი მათი თვალები, და აფრიკის ჰერკულესების მკერდი ისე იბერებოდა, როგორც ვულკანის სამჭედლოს ქურა.

ცნობისმოყვარეობამ სძლია სმიტსაც. ადგა. მივიდა, შერკინებულ ბუმბერაზებს გვერდით აეტუზა.

მოწინააღმდეგენი წამით ერთმანეთს ჩამოსცილდნენ. ვიდრე მეგობარს ხელახლა მივარდებოდა, ჯექმა გარე-



მოს თვალი მოაგლო, რომ რაიმე საგანი აეღო და ჯონისათვის დაეკრა, მაგრამ აქ არც ქვა იყო, არც ჯოხი. ანგარიშიმეორედ აღიკაცა ის, რაც ხელში მოხვდა — ეს იყო იქვე მდგარი სმიტი — და ისე სტყორცნა მოპირდაპირეს, თითქოს ეს, „წამოწყების“ მრისხანე კაპიტანი კი არა, ბამბის თოჯინა ყოფილიყო. გაშმაგებულმა ჯონმა იგივე საგანი მალლა ასწია და ისეთი ძალით დაუბრუნა უკანვე, რომ ვიდრე საბრალო თეთრი ბატონი შოი-

საზრებდა, თუ რა ხდებოდა მის თავზე, უკვე უსულოდ ეგლო ყვითელ ქვიშაზე, როგორც სათაფურის დასარტყილი თავი. სიკვდილს კიდევ უფრო დაეხლოებოდა „წამოწყების“ კაპიტანი. სასაცილოა, როცა ტანად ჩიაკაცი დიდობას იჩემებს, მაგრამ პიპინ მოკლესა და კაპიტან სმიტს, ვიდრე ცოცხლები იყვნენ, თავი ამყად და ღირსებით ეცირათ, როგორც მბრძანებელთა რიგია, ამიტომ სასაცილონი არ ყოფილან. ახლა სმიტი სასაცილო იყო: პატარა, უბადრუკი, არარაობა.

ორივე მებრძოლი გაქვავდა, გონს მოეგო; ჯეკი დაიხარა და დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა მისტერ სმიტს. ჯონიც ფეხაკრებით მიუახლოვდა მრისხანე ბატონის გვამს და ისიც დიდხანს აშტერდებოდა, თითქოს უკვირს და გაჰკვირვებია: ამ პატარა სხეულში ამდენი ძალაუფლების სული როგორ თავსდებოდა! ეს აღარ იყო სმიტი, ეს იყო გვამი. აღამიანებმა ანგარიში გაუსწორეს ნიგერიის სულთამბუთავს. ეს იყო სიბრძნე, რაც მათ სიგიჟემ ჩაადენინათ. აი, წვეს და აღარ წყრება. ახლა ის გაიხრწნება, ღამით კი აფთრები დაესვენან.

უეცრად ჯეკმა გიჟივით გადაიხარხარა. ჯონი შეკრთა, მერე მასაც სახე გაეხსნა, აჰყვა და, ორი გოლიათის მკერდიდან ამოვარდა შმაგი, ველური ხარხარი, რამაც ჩაახშო თვით ნიგერიის შორეული გუგუნე. თითქოს შავი ხმელეთის საუკუნო დარდი და ვარამი გადმოსკდა სიხარულისა და სიგიჟის ზღვარდაუღებელ ხარხარად, თითქოს შავი ხმელეთი ცახცახებდა თავდახრილი გოლიათების ფეხქვეშ.

მღუმარე უდაბნოში ორი ზანგი ხარხარებდა.

მისტერ სმიტი არ იღვიძებდა.

სამაგიეროდ, იღვიძებდა აფრიკა.

ჯერ კიდევ დაუბნობია...

დედამიწის ზურგზე ცნობილია მხოლოდ თოხმეტე რვაათასმეტრზე მეტი სიმაღლის მწვერვალი.

ტიბეტისა და ნეპალის საზღვარზე აღმართული აქვს თავისი გრანდიოზული მხრები „მიწის ღმერთების დედას“ — ჯომოლოუნგმას, რომელსაც წინათ ევერესტს უწოდებდნენ. მისი სიმაღლე 8 882 მეტრია, ჯომოლოუნგმას მიდამოებში მდებარეობენ სხვა რვაათასმეტრიანი მწვერვალები: ლხოცზე (8 545 მ), მალაკუ (8 470 მ), კაჩენჯანგა (8 585 მ), ტხაულაგირი (8 172 მ), მანასლო (8 128 მ), ნანგა-პარბატი (8 125 მ), ანაპურნა (8 078 მ), შიშა-პანგმა (8 013 მ).

ევერესტის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობს სიმაღლით მეორე მწვერვალი ჩოგორი (8 611 მ), იქვეა შინდლი-პიკი (8 066 მ), ბროუდ-პიკი (8047 მ) და გიშერბრუმი (8035 მ).

შიმაღლისა და უარ-ყორუმის მახვილებს დაპყრობა ჯერ კიდევ გასული საუკუ-

ნის წუხანებში დაიწყო. თითქმის ყველა პრძოლა, რომელიც ამ მთების კალთებზე სიმაღლისათვის გაიმართა, უკანასკნელ წლებამდე აღამიანთა მარცხით მთავრდებოდა.

მხოლოდ შვიდი წლის წინ, 1953 წლის 28 მაისს, აღამიანმა პირველად შედგა ფეხი მხოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე. ებენი ინგლისის ექსპედიციის წევრები: შერპი ნორგეი ტენსინგი და ახალზე-ლალიელი ედმუნდ ხილარი იყვნენ.

ჯომოლოუნგმას შემდეგ, 1953 წელსვე დაეცა მეორე რვაათასმეტრიანი მწვერვალი — ნანგა-პარბატი. 1954 წელს იტალიელმა მთასვლელებმა დაიპყრეს სიმაღლით მეორე რვაათასმეტრიანი — ჩოგორი. იმავე წელს აღამიანს დაწებდა ჩო-ოიუ. 1955 წელს დაპყრობილ იქნენ კაჩენჯანგა და მალაკუ. 1955 წელსვე შედგებმა ხელმეორედ დაიპყრეს ჯომოლოუნგმა,



ხოლო ინდოელებმა — ჩო-ოიუ. 1957 წელს დაეცა ბროუდ-პიკი. და ბოლოს, ამერიკელებმა დაიპყრეს მეთორმეტე რვაათასმეტრიანი შინდლი-პიკი.

შარშან, 13 მაისს, დიდი ხნის პრძოლის შემდეგ დაპყრობილ იქნა მეცამეტე რვაათასმეტრიანი — ტხაულაგირი. მასზე ავიდა ოთხი შვეიცარიელი და ორი შერპი მთასვლელი.

ახე რომ, დღეისათვის 14 რვაათასმეტრიანი მწვერვალიდან მხოლოდ ერთი აღამიანისა და რჩენილი, სადაც აღამიანს ფეხი არ შეუდგამს, ეს — ტიბეტის მწვერვალი შიშა-პანგმაა.

ჯერჯერობით მთამსვლელებს ამ მწვერვალის მხოლოდ ფოტოსურათი აქვთ ხელთ, ისიც შორიდან გადაღებული.

... რომ არსებობს ისეთი ატომმფრენის პროექტი, რომელიც მთელი წლის მანძილზე იფრენს დედამიწის გარშემო წრიული მიმართულებით, გადაიყვანს რა მგზავრებს ერთი კონტინენტიდან მეორეზე. ასეთ ატომმფრენში მგზავრები ჰაერშივე გადასხდებიან ავიატაქსებიდან.

... რომ კარგ ბოტანიკოს-მოყვარულს ათასამდე სხვადასხვა მცენარის გამოცნობა შეუძლია. ცხადია, სპეციალისტი ბოტანიკოსები უფრო დახელოვნებული არიან —ზოგიერთი მათგანი 5000-მდე სახელწოდების მცენარეს იცნობს. ეს კი ბევრიც არის და ცოტაც: დედამიწაზე 400 ათასზე მეტი მცენარეა აღრიცხული, ამასთან, ყოველწლიურად ხდება მცენარეთა ახალი, მანამდე უცნობი სახეობების აღმოჩენა.


... რომ პირველი კლიბები ზვიგენის ტყავისაგან იქნა დამზადებული. ამ კლიბებით აპრილებდნენ ხის საგნებსა და მარმარილოსაც კი. წყნარი ოკეანის კუნძულებზე აქა-იქ ახლაც ხმარობენ თევზის ტყავისაგან დამზადებულ კლიბებს.

... რომ „ტუ-104“ თვითმფრინავის გაზის ტურბინებში ერთ საათში თითქმის მილიონი კუბური მეტრი ჰაერი გაივლის. თუ ამ „კუბიკებს“ ერთიმეორეს მივაწყობთ, ათასი კილომეტრი სიგრძის გზას მივიღებთ.

... რომ ერთი კუბური მეტრი ჰაერი დედამიწის ზედაპირთან, ნულ გრადუსზე, ერთ კილოგრამსა და 293 გრამს იწონის, 40 კილომეტრის სიმაღლეზე კი მხოლოდ 4 გრამს.

... რომ ათენის ეროვნულ მუზეუმში ინახება საანგარიშო მანქანის ნაშთები. ეს მანქანა ორი ათასზე მეტი წლის წინათაა შექმნილი. მისი საშუალებით, ჯერ კიდევ 65 წელს (ჩვენს ერამდე) ახდენდნენ პლანეტათა მოძრაობის გამოანგარიშებას.

... რომ მზისაგან დამცველი სათვალეები ცნობილი იყო ეგვიპტეში ჯერ კიდევ 3.300 წლის წინათ. ცხადია, მათ მხოლოდ ფარაონი და მისი კარისკაცები ატარებდნენ, ვინაიდან სათვალე იმ დროს ძალზე ძვირი ღირდა.



ქართული
ზეგლირთქვა

მ ა ხ ა ჯ ი რ ი — გადასახლებული. ლექსი მოგვითხრობს XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა ერთი ნაწილის თურქეთში იძულებით გადასახლებაზე.

ბაბრავ შინაშა

ქაფური ტალღა გინანავებს,
ზღვა გუგუნებს ბობოქარი,
ხელთ უპყრიათ შავბნელ ძალებს
შენი ბედის იალქანი.

შიში ნანი, შიში ნანი,
მოწყვეტილო მშობელ კერას,
მინდობილო ბედისწერას—
დაიძინე, უანანი!

ქარიშხალი ამოვარდა,
შეიმოსა მხარე თალხით
და მშობლიურ მწვანე კალთას
მოაცილა მისი ხალხი.

ხალხს დაადგა გასაჭირი,
დაისეტყვა, გაპარტახდა,
და შავი ზღვაც მახაჯირის
ცრემლით უფრო მლაშე გახდა.

უბედობა დაგყვა ბედად
და მონობა გელის მწარე,
მოიგონე როგორც დედა,
მშობლიური შენი მხარე.

შიში ნანი, შიში ნანი,
მოწყვეტილო მშობელ კერას,
მინდობილო ბედისწერას,
დაიძინე, უანანი!

გაიზრდები და მხარულით
ვიცი შავ ზღვას გადმოსერავ,
მიმქრალი და მიმალული
გააჩაღე შენი კერა.


შენს ფაცხაში ძველთა-ძველი
გაიელეებს ბასრი ხმალი,
ჩამოსენი, ჩამოსენი—
გაინათე მომავალი!

ხალხს აცილე გასაჭირი,
ხალხს ჩაუდექ სათავეში,
სამშობლოსთვის გმირთა-გმირი
საბრძოლველად გადაეშვი!

დაიძინე, უანანი,
მოწყვეტილო მშობელ კერას,
მინდობილო ბედისწერას,
შიში ნანი, შიში ნანი.

თარგმანი რევაზ მარგიანისა

ნახ. თ. სამსონაძისა





კვასუხოვტი

შეითხვეპზე

„ჩვენს კლასში კამათი ჩამოვარდა,—გვწერენ თბილისის 24-ე სკოლის მეშვიდეკლასელები მანანა ქობულა და ლამარა თოფურია,—ზოგნი ამტკიცებენ, რომ ადამიანი გამძლეობით ცხენს სჯობნისო. გთხოვთ გვიპასუხოთ, მართალია თუ არა ეს?“

1924 წლის ერთ ნისლიან დღეს ლონდონის მცხოვრებლებმა უცნაური განცხადება ნახეს ქუჩაში გამოკრული. სანახაობათა ცნობილი მომწეობი სრულიად უჩვეულო შეჯიბრის საყურებლად იწვევდა ხალხს.

„ადამიანი შეეჯიბრება ცხენს, შეჯიბრი მანამდე გაგრძელდება, სანამ რომელიმე მოწინააღმდეგე არ დათმობს ასპარეზს!“—იუწყებოდნენ აფიშები.

კაცს, რომელიც ცხენს უნდა შეეჯიბრებოდა, უოტსი ერქვა. ოდესღაც იგი შესანიშნავი სპორტსმენი იყო, ახლა კი წლებს თავისი გაეცნა.

ეს უჩვეულო ასპარეზობა დანიშნული იყო ლონდონის ყველაზე დიდ არენაზე, იქ, სადაც ჩვეულებრივ საზაფხულო შეჯიბრებს ატარებდნენ ხოლმე.

დანიშნულ დროს მოწინააღმდეგენი სტარტზე დადგნენ: სარბენი ბილიკის ერთ მხარეს ცხენი, მეორე მხარეს—ადამიანი.

მსაჯმა ხელი ასწია. გაისმა ძახილი: „ყურადღება!“ სროლის ხმაზე ცხენიც და ადამიანიც ადგილს მოსწყდა. მხედარმა ერთი დაცნევით გადახედა მოწინააღმდეგებს და ცხენი ჩორითი წაიყვანა. იგი თავის გვერდით მოჯირითე ცხენებს იყო ჩვეული, ახლა კი... მას სასაცილოდაც არ ყოფნიდა, რომ ვიღაცამ ფეხით აკადრა მის მერანს შეჯიბრი.

უოტსი მტკიცე, თანაბარი ნაბიჯით მისდევდა ცხენს გვერდით. გაირბინეს ერთი წრე... მეორე... მესამე. მდგომარეობა არ შეცვლილა: ადამიანი კვლავ გვერდში მისდევდა ცხენს.

— დავამთავრო, სერ?—გასძახა მხედარმა

ცხენის პატრონს,—როდესაც ლოქას გაუსწორდა. მან თავი დაუქნია. მხედარი ოდნავ მოიხარა და ცხენმა ნაბიჯს უმატა. მაგრამ მორბენალი მაინც გვერდში იყო—ისიც უმატებდა ტემპს. მაშინ მხედარმა ცხენს მათრახი აკადრა. ახლა კი შესამჩნევი გახდა სისწრაფეში განსხვავება. ადამიანსა და ცხენს შორის მანძილი თანდათან იზრდებოდა. უოტსი სულ უკან და უკან რჩებოდა, მაგრამ მაინც შეუჩერებლად განაგრძობდა რბენას. გაიარა საათმა. ცხენი მთლად თეთრი ქაფით დაიფარა, შესამჩნევად უკლო ტემპს, ადამიანი კი თანაბარი ნაბიჯით განაგრძობდა სირბილს. მხედარი უკვე აღარ იღიმებოდა. იგი კარგად ხედავდა, რომ მორბენალი თანდათან ეწეოდა მას. ცოტაც და, უოტსი მართლაც გაუსწორდა ცხენს, შემდეგ გვერდი-გვერდ ირბინეს კარგა ხანს. ამასობაში დაღამდა კიდეც და შეჯიბრი მეორე დღისათვის გადასდეს.

ექვს დღეს გრძელდებოდა ეს უჩვეულო შეჯიბრი. უკანასკნელ დღეს ცხენს მუხლები აუთრთოვდა, წამდაუწყემ ფორხილობდა და წვალებით მიიწვედა წინ. ადამიანი კი ისევ ისეთივე ნაბიჯით მირბოდა, როგორც ექვსი დღის წინ დაიწყო სირბილი. ახლა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ იგი ახლოს იყო გამარჯვებასთან. და აი, მართლაც უოტსი წინ გაიჭრა. ცოტაც და, უკვე ერთი, ორი, სამი წრის უპირატესობას მიადგინა. სტვენისა და ყვირილის ხმა აყრუებდა იქაურობას.

ბოლოს, ცხენი დადგა. აცახცახებულ ტანზე ოფლი ღვართქაფად ჩამოსდიოდა. აღარც მათრახს, აღარც დეზებს ძალუძდა მისი ადგილიდან დაძვრა. შეჯიბრი დამთავრდა. ადამიანმა



ექვსდღიან ბრძოლაში დასჯებულ ცხენს ამ წინის მანძილზე უოტსმა 556 კმ-ზე უკან გაიხიზნა და ცხენს თითქმის ოცი კილომეტრით გააწრო.

ცხადია, ასეთი არაადამიანური შეჯიბრებები, მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნებში თუ შეიძლება მოეწყოს, სადაც ფულის გულისათვის ადამიანი იძულებულია ყოველგვარი დამცირება აიტანოს.

თქვენ, ალბათ, აქამდე არც კი დაიჯერებდით, რომ ადამიანი ბევრ ძალზე ფეხმარდ ცხოველზე სწრაფი და გამძლეა. თავის დროზე ასევე გაკვირვებული იყვნენ ამერიკაში ჩასული ევროპელები, როდესაც ირმებზე დანებით მონადირე ინდიელები ნახეს. წამოაგებდნენ/ბუჩქებიდან ირემს და მანამ სდევნიდნენ, სანამ ცხოველი სირბილისაგან არ მოიქანცებოდა. აფრიკის ზოგიერთი ტომები დღესაც ასეთი ხერხით ნადირობენ შველსა და ირემზე.

მაგრამ არ გეგონოთ, რომ ასეთი სისწრაფე და გამძლეობა ყველა ადამიანს ჰქონდეს. ზოგიერთს, ოცი საფეხური რომ აირბინოს კიბეზე, გული ყელში მოებჯინება ხოლმე.

რატომ ხდება ასე? ამის მიზეზი ორია. ჯერ ერთი, სისწრაფისა და გამძლეობისათვის საჭიროა სწორი სირბილი, მეორეც, რომ არ დაიღალო, ორგანიზმი უნდა შეაჩვიო ამ თავისებურ შრომას.

ეს ორი თვისება ადამიანის ორგანიზმს მხოლოდ ვარჯიშის შემდეგ უვითარდება.

აბა, ყურადღებით დააკვირდით, როგორ დარბის ის ადამიანი, რომელსაც არასოდეს არ უვარჯიშია. იგი ან მოკლე ნაბიჯებით მიცუნცულებს, ან ძალზე მაღლა წევს ფეხებს, აქეთ-იქით უმიზნოდ იქნეეს ხელებს. იცით, რამდენი ენერჯია ეხარჯება ასე მორბენალს უმიზნოდ?—ძალიან ბევრი.

სულ სხვანაირად დარბის ნავარჯიშევი მორბენალი. იგი არც ერთ ზედმეტ მოძრაობას არ აკეთებს. მთელი მისი სხეული თავისუფალი და დაუძაბავია, ნაბიჯი კი რიტმული და თანაბარი, ხელები მხოლოდ იმდენად მოძრაობენ, რამდენიც სირბილში წასახმარებლად არის საჭირო.

ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ გამოცდილი მორბენალი სირბილის დროსვე ისვენებს. ერთი ფეხი რომ გამართულია და მიწას ეყრდნობა, მეორე მოდუნებულია და ძალას იკრებს.

აი, ამაშია სწორედ ადამიანის გამძლეობისა და სისწრაფის საიდუმლოება. ამის მიღწევა ყველას შეუძლია თუ სერიოზულად და სისტემატურად ივარჯიშებს.





გიორგი სააკაძის ცხოვრება

ერთ ხანს, მტრებისაგან დევნილი გიორგი სააკაძე ირანში აფარებდა თავს. შაჰი ცდილობდა სააკაძე ირანის ერთგული გაეხადა, მაგრამ გიორგის გულში სამშობლოს სიყვარული მუდამ ძლიერი იყო.

1.

ერთხელ შაჰმა გიორგი თავის სასახლეში მიიწვია და ჰკითხა:

— გიორგი, გამოცდილი მეომარი ხარ, მითხარი, რომელი იარაღი სჯობია ომში სახმარად?

— დიღო მეფეო! მეომარი უნდა ვარგოდეს, თორემ თავის ღრმზე ყველა იარაღი კარგია! — უპასუხა გიორგიმ.

იმ ხანად გიორგი ერთი პატარა ხანჯლის ვარდა სხვა იარაღს არ ატარებდა. მისი პასუხი მეფეს ძალზე მოეწონა და მოინდომა გიორგის გამოცდა.

ერთ დღეს, როცა გიორგი სასახლის ბაღში სასიეროდ გამოვიდა, შაჰმა ბრძანა ხეივანის მეორე ბოლოდან ორი ლომი გამოეშვათ, თვითონ კი საკმლიდან თვალს ადევნებდა.

გიორგიმ რომ მისკენ მომავალი ორი ლომი დაინახა, მიხვდა, ეს მეფის მოწყობილი იყო, მაგრამ რთლი დაიბნა და არც გზიდან გადაუსხვია.

ადამიანის ღანახვისთანავე ერთმა ლომმა კამარა შეშქრა და გამოქანდა. მეორე ლომი კი მას უკან მოჰყ-

ვებოდა. გიორგიმ უცბად ქუდი მოიხადა და პირდაღებულ ლომს შიგ ხახაში ჩასჩარა, სწრაფად ძირს ხანჯალი და მეორე ლომს, რომელიც ის იყო უნდა დატაკებოდა, შიგ გულში ჩასცა. ხანამ პირველი ლომი პირიდან ქუდს გამოაგდებდა გიორგი მოუბრუნდა და ისიც ამავე ხანჯლით განჯმირა.

შემდეგ, სისხლში მოხვრილი ხანჯალი ლომს ფაფარზე შეაწმინდა, ქარქაშში ჩააგო და ხეივანში სეირნობა განაგრძო.

2.

ერთხელ ირანის შაჰმა გიორგი მოიხმომ და უთხრა: „მოდე, გიორგი. ერთი პირობა დავდოთ; ამ ტახტიდან დარბაზის გასავალ კარამდე შეუხსვენებლივ თუ რვა ტომარა ოქრო ვერცხლს მიიტან, სულ შენი იყოს, თუ არა და თქვი, რომ ვაჟკაცი არა ხარო“.

შაჰმა ბრძანა მოეტანათ ოქროსა და ვერცხლის ფულით სავსე ტომ-

რები და სამეფო ტახტის წინ დაეღებინათ. მართლაც, მალე ტომრები მოიტანეს. გიორგიც პირობისამებრ მეფესთან მივიდა...

— აჰა, გიორგი, შენ იცი, პირობა პირობაა.

გიორგი ტომრებთან ახლოს მივიდა და ერთ წუთს შეუწყმანდა:

„ცოტა ავიღო, დამძრახავენ, ძალღონე არ უოფნისო, ბევრი ავიღო და, შეიძლება თქვან — ხარბი უოფილაო. ბოლოს უცბად გადაწყვიტა: „დაე, დანძრახონ, ბარემ ერთხელ კადევ ვაჩვენებ, რომ ვაჟკაცი ვარ და გული კლდესავით სალი მაქვსო“.


შაჰი და ყველა იქ დამსწრე გიორგის გაკვირვებით შესცქეროდნენ და ექვში იყვნენ. მაგრამ გიორგი ხომ გიორგი იყო. იგი არც თავის თავს და არც სამშობლოს სახელს არ შეარცხვენდა.

გიორგიმ ერთი ტომარა თავზე დაიღო, თითო-თითო — მხარზე, თითო ილღიებქვეშ ამოიღო, ერთი კბილებით დაიჭირა, ორიც ხელებით აიღო და მძიმე, ვაჟკაცური ნაბიჯით გაემართა კარისაკენ.

რამდენიმე წუთის განმავლობაში დარბაზის გრძელი გზა ისე გაიარა, რომ ფეხი ოდნავადაც არ შეშლია. როცა კართან მივიდა, ფულით სავსე ტომრები ზედიზედ სიმაღლეზე დააღაგა. ყველა იქ დამსწრე მჭუხარე ტაშით შეეგება.

შაჰმა პირობა შეასრულა. რვა ტომარა ოქროსა და ვერცხლის ფული გიორგის მისცა. გიორგიმ შემდეგ ეს ფული სამშობლოს გაძლიერების საქმეს მოახმარა.





სპილო და ზღარბი


ვინ გაიმარჯვებს ორთაბრძოლაში: სპილო თუ ზღარბი?

— რა თქმა, უნდა სპილო, — იტყვის ბევრი, — მას შეუძლია თავისი ვეება ფეხებით ზღარბი ლავაშივით გააბრტყელოს, ან ხორთუმით დაიჭიროს და ათი მეტრის იქით გადაისროლოს.

მაგრამ აი, რა მოხდა ერთ-ერთ ზოოპარკში. ერთხელ სპილოების ოჯახთან შემთხვევით მოხვდა ზღარბი. შეშინებულმა პატარა სპილომ მას ზურგი შეაქცია, დედა სპილომ კი ყურები დაცქვიტა და მოეშადა თავდაცვისათვის. ჯუნგლების ამ ერთ-ერთმა ძლიერმა მკვიდრმა ვერ გახედა შეხებოდა «საშიშ ჯუჯას». როგორც ცნობილია, სპილოებს ჩლიქებს შუა და ხორთუმზე ძლიერ ნაზი კანი აქვთ, რომლისთვისაც ზღარბის წვეტიანი ეკლები საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

შენობა მინაპლასტისაგან

ამ სურათზე გამოსახული ბირთვი, შენობაა, რომელიც მინაპლასტისაგანაა აგებული. თავისთავად ცხადია, რომ მინაპლასტული ნივთიერებისაგან დამზადებული მასალა ძალზე მსუბუქია, ამასთან ადვილად იშლება ნაწილებად და ადვილი გადასატანია. მიუხედავად იმისა, რომ ამ შენობას შეიძლება თელიანი სახლის სიმაღლე აქვს, მოხერხებული ფორმის გამო მასზე სრულიად ვერ მოქმედებს ქარი.



«სიკმედილის სარტყელი»

პერუს კორდილიერების დასავლეთით გაკუმულია პატარ-პატარა კოპებების რიგი, რომელიც

მელსაც «სიკედილის სარტყელს» უწოდებენ: ყველა, ვისაც კი აქ ღამე გაუთევია, სისხლის გათეთრებით დაავადებულია, ხოლო ზოგჯერ მომკვდარა კიდევ.

დაავადების მიზეზი დიდხანს გამოცანას წარმოადგენდა. მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინ დაადგინეს მეცნიერებმა, რომ ავადმყოფობის გამომწვევია ღამის ბუზის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ქვიშარ ადგილებში ბინადრობს. იგი ძალზე პატარაა და ადვილად ძვრება მოსკიტებისაგან დამცავ ბადეში. ეს საშიში მწერები სინათლეს ვერ იტანენ, ამიტომ დღისით უკვალოდ ქრებიან — მიწაში იმალებიან. სამაგიეროდ, დაღამდება თუ არა, აიშლებიან პაერში და გააფთრებით თავს ესხმიან ყოველგვარ ცოცხალ არსებას.

წითელი ძუღავით ტყავი

ამ ბოლო დროს ფინეთის ტყეებში ბევრი უბედური შემთხვევა მოხდა. არ გეგონოთ, რომ ეს მხეცეკის ან მოუწესრიგებელი სანადირო თოფების ბრალი იყოს. დამნაშავენი აღმოჩნდნენ მონადირეები. ზამთარში, თოვლით დაფარულ ტყეში მონადირეები ხშირად ცდებოდნენ — ერთმანეთი ირმები, ან კიდევ სხვა რომელიმე ცხოველი ეგონათ და თოფს ესროდნენ; ამის შედეგად ხშირი იყო ტრადიკული შემთხვევები. ასეთი უბედურების თავიდან ასაცილებლად ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაადგინა, რომ ყველამ, მონადირე იქნება ის თუ მგზავრი, ტყეში გავლისას უსათუოდ დაიხუროს წითელი ქული.

მიწისქვეშა მავზოლეუმი

ჩინეთში დიდი ხანია ცნობილი იყო იმპერატორ ვან ლის მიწისქვეშა მავზოლეუმი; მეცნიერებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ ამ მავზოლეუმში შესასვლელი გზა არსებობდა.

უკანასკნელ ხანებში, მეცნიერმა არქეოლოგებმა მიაგნეს მიწისქვეშა მავზოლეუმის შესასვლელ გზას და გამოიკვლიეს მისი ადგილმდებარეობა, შინაგანი მოწყობილობა.

მავზოლეუმი მიწისქვეშ 20 მეტრის სიღრმეზეა გაკეთებული, მისი სიგრძე 80 მეტრს უდრის. მავზოლეუმში ისტორიული ხელოვნების მრავალი საინტერესო ძეგლი აღმოჩნდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ უკვე გახსნა იმპერატორ ვან ლის მიწისქვეშა მავზოლეუმი, რომლის დათვალიერება და შესწავლა მრავალ ადამიანს იზიდავს.

5.000 წლის რუკები

ამ რამდენიმე ხნის წინათ თურქეთის ქალაქ სტამბოლში, თოფტინიუს სასახლეში, მეცნიერებმა აღმოაჩინეს 1513—1528 წლებით დათარიღებული რუკები. დაახლოებით ეს ის დრო იყო, როდესაც ქრისტიანთა კოლუმბზა ამერიკა აღმოაჩინა.


მეცნიერებმა გამოარკვეეს, რომ ეს რუკები თავისკდროზე შეუდგენიათ თურქეთის ცნობილი ისტორიული ბირის — ადმირალ ფირი რეისის განკარგულებით.

მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ეს რუკები თაობიდან თაობაზე გადადიოდა ალექსანდრე მაკედონელის დროიდან. ისინი შეიცავენ 5.000 წლის წინათ შემუშავებული რუკების თითქმის ზუსტ მონაცემებს. ამერიკიდან დადასტურებულად ითვლება, რომ რუკების შედგენა ჯერ კიდევ 5.000 წლის წინათაც კარგად სცოდნიათ.



კონ-ტიკი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ნორვეგიელმა მოგზაურმა და მკვლევარმა ტურ ხეიერდელმა ბალზის მორებისაგან შეკრული ტივილი წყნარი ოკეანე გადასცურა. ეს ექსპედიცია, სხვა მეცნიერულ აღმოჩენებთან ერთად, იმიტომ იყო საინტერესო, რომ ბალზის მორებმა კარგად გაუძლეს მრავალდღიან ცურვას, უმნიშვნელოდ გაიყინდნენ და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ძველ ინდიელებს ასეთი ტივებით მართლაც შეეძლოთ ოკეანის გადაცურვა. ახლა ხეიერდელის ტივი, როგორც რელიქვია, ისლანდის მუზეუმშია დაცული.



ვე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. ფრინველი; 2. სოფელი ქართლის რაიონში; 4. ქართველი კომპოზიტორი; 5. კურორტი; 8. ქართული ბალეტი; 10. სასაზღვრო სოფელი აჭარაში; 11. ცნობილი ქართველი მკვდელი; 12. სუბტროპიკული მცენარე. 13. დაბა, სადაც მდებარეობს შაქრის ქარხანა; 16. ქართული ტაძარი; 17. ადგილი თბილისის გარეუბანში; 18. მონასტერი თბილისის მახლობლად; 20. სოფელი სამგორის რაიონში; 22. სამკურნალო მცენარე; 23. კურორტი საქართველოში.

ჭ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 3. ქართული ჟურნალი; 6. საქართველოს რაიონი; 7. თბილისის უბანი; 9. ისტორიული სოფელი საქართველოში; 10. საკურორტო დაბა; 12. აკაკი წერეთლის პოემა; 14. ქართული ოპერა; 15. ეროვნება; 19. საღებავი; 21. ა. ყაზბეგის ნაწარმოების გმირი; 23. ჭურჭელი; 24. სოფელი კახეთში; 25. კაცის სახელი; 26. დროშა, ანუ...


შეადგინა მ. თაბაგარმა

ორი თავსატეხი



თქვენს წინაშე ხუთი სხვადასხვა ზომის ფიგურა, საჭიროა მათგან ააწყოთ რუსული ბეჭდური „Т“-ს მსგავსი ფიგურა.

აქ მოცემული ხუთი ნაწილისაგან სცადეთ ააწყოთ კვადრატი.





პ ა ს უ ხ ა ბ ი

ა ბ ა , ზ ა ი ხ ს ე ნ ე მ ი !

1. „გული“; 2. „ბოეტი“; 3. „ლიმილი“; 4. „მწყემსი“; 5. „სამშობლო“; 6. კოლხი-დაში“; 7. „აჰა, თენდება“; 8. „მე და ზამბახი“; 9. „არგილატებთ“; 10. „ახალციქართან“; 11. „გზა გამარჯვების“; 12. „აქარელი მფრინავი“; 13. „მეხი მესს, ქახედა“; 14. „ფიქრები“; 15. „მთაწმინდის მთვარე“; 16. „სადღეგრძელო იყოს მისი“; 17. „ცხრა“; 18. „კავ-კასიის დასაცავად“; 19. „შენს ცისფერ თვალებს“; 20. „ვისი-არის ეს გუგუნო“; 21. „ღრუბლები დაუგთან“; 22. „სიმართლის დროშა“; 23. „ახალგაზრდობას“; 24. „დროშეები ჩქარა“; 25. „ქარი არხედა“; 26. „ჩემო იარაღი“; 27. „ალაზნთან“; 28. „მე და ღამე“; 29. „ხარკოვს“; 30. „ყორანი“; 31. „გზაში“; 32. „მერი“.

თ ა ვ ს ა ტ ე ხ ი

ფიგურა იყოფა სამ ნაწილად და ლაგდება კვადრატი ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.



ს ც ა დ ე თ ი !

ასანთის სამი ღერის მოკლების შემდეგ რჩება სამი ტოლი კვადრატი ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.

გ ა მ ო ტ ა ნ ა

მ ა რ ი ლ ი .



საბავშვო-ბავშვობები
 ა. აბრამიძის

